სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 28 მაისი 1996 № 41 (266) ფასი 40 თეთრი

შევარდნაძის დებიუტი საქართველოს თასზე

გუშინწინ „დინამომ“ ახალი თასიც მოიპოვა

ანდრი კეთილაძის ფოტოები

ვითას ბანკში წელსაც ოქროა



27 მაისი. სპორტის სასახლე.

ვითა — დინამო 84:81

ვითა: თორთლაძე, კობეშავიძე, ქარაბაკი (2), დადიანი (10), შენგელია (20), ნაცვლიშვილი (32), ტურაშვილი (2), სანაძე (8), ჩხეიძე (3), ორმოცაძე (7)

დინამო: ულენტი (3), მაისურაძე (14), კილაძე (6), ბეჟანიშვილი (6), ბერძენიშვილი (24); ხოშტარია (1), დარსაძე (8), ცხვედიანი (7), ოთიურიძე (15)

მსაჯები: სტრელცოვი (რუსეთი), ჩუდინი (რუსეთი)

„ვითას“ მწვრთნელები ბესიკ ლიპარტელიანი და ვაჟა მწვიძე საჩემპიონოდ იყვნენ გამოწყობილნი. მატჩი კი ისე დაიწყო, თითქოს „დინამო“ უფრო იყო მზად საჩემპიონოდ. მოსეშვილმა იგივე სასტარტო ხუთეული გამოიყვანა, რაც წინა მოგებულ მატჩში, ოღონდ ოთიურიძის ნაცვლად ბერძენიშვილი თამაშობდა. „დინამომ“ თავბრუდამხვევი შეტევებით დაიწყო და ბერძენიშვილის შესანიშნავი თამაშის წყალობით ორ წუთში 8:0 დაწინაურდა. „ვითამ“ პირველი ბერთი მხოლოდ მესამე წუთზე ჩააგდო. ბერძენიშვილს კი კილაძემაც აუბა მხარი და ულენტის გარღვევის შემდეგ მე-7 წუთზე ანგარიშია 17:4. „ვითაში“ პანიკაა. ამ პერიოდში მხოლოდ დადიანი და შენგელია იბრძვიან ბოლომდე. „დინამო“ კი სოლიდურ სხვაობას ინარჩუნებს ნელ-ნელა „დინამოს“ ძირითადებიც შემოდიან — დარსაძე, ცხვედიანი, ოთიურიძე. მე-10 წუთზე ბეჟანიშვილი კუჭით ათავსებს ბურთს კალათში და სხვაობა კვლავ ცამეტი ქულაა 23:10. მაგრამ აქვე თვალშისაცემი ხდება ის, რომ „დინამოს“ სნაიპერებს დარსაძეს და ცხვედიანს სამქულიანები არ წაუვიდათ. უფრო სწორედ, პარტნიორებმა ბლოკის დაყენება ვერ შეძლეს, ამათ რომ ბურთი თავისუფლად ესროლათ. თუმცა ეს ჯერ კიდევ არაფერი, რადგან ამ წუთებში მაისურაძე ყოჩაღობს და „დინამო“ კვლავ გვარიანად არის წინ. მას ოთიურიძეც ეხმარება — 31:20 და, აი, აქ ათამაშდა საქართველოს შარშანდელი საუკეთესო კალათბურთელი ნაცვლიშვილი. „დინამოს“ ბედზე, მისი ასეთი თამაში მაინცდამაინც ფინალის ბოლო შეხვედრაზე მოვიდა. ნაცვლიშვილმა ზედიზედ 3-ჯერ ჩააგდო. შემდეგ ჩვეულ სტილშიც ჩატენა და „დინამოს“ უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრო. ტაიმის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე სხვაობა 4 ქულაა — 36:29. ნაცვლიშვილი შეუჩერებელია. ცოტა ხანში მისი მორიგი გარღვევის შემდეგ „ვითა“ ამ შეხვედრაში პირველად გადის წინ 37:36. იქვე სანაძის 3-ქულიანი და უკვე „დინამოა“ მდევრის როლში. მაგრამ ბოლომდე იბრძვის ოთიურიძე და პირველი ტაიმი 43:42 მთავრდება „ვითას“ სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში „დინამო“ ისევ უცებ დაწინაურდა. კვლავ კარგად ირჯება ბერძენიშვილი, მაგრამ ნაცვლიშვილიც შესანიშნავია. შენგელიას გარღვევა და „ვითა“ დაწინაურდა. უპირატესობა უკვე გარდამავალია, მაგრამ „დინამოს“ წამყვან მოთამაშეებს პერსონალურთა რაოდენობა კატასტროფულად ეზრდებათ. აქ ისევ შესანიშნავად თამაშობს მაისურაძე — მან ორჯერ ზედიზედ ჩაჭრა გადაცემა და „დინამო“ დაწინაურდა 66:62. 6 წუთით და 53 წამით ადრე მოედანს ხუთი პერსონალურით ტოვებს ბეჟანიშვილი. შენგელიას ორი შედეგიანი სროლა და 68:68. „დინამო“ ერთხელაც ცდილობს სპურტის გაკეთებას, ბერძენიშვილის გარღვევა და 75:70. და აქ კვლავ ნაცვლიშვილის შესანიშნავი თამაში. „დინამოს“ არაფრით გამოსდის შორიდან ტყორცნები. დადიანმაც მჭიდროდ ჩაკეტა დარსაძე. ცხვედიანი უზვეულოდ ნერვიულობს. თუმცა სამქულიანებს ვერც სანაძე და თორთლაძე აგდებენ, მაგრამ ფარქვეშ „ვითას“ უპირატესობაა: მას ხომ შენგელია და ნაცვლიშვილი ჰყავს. მათი შეჩერება დინამოელებს უფრო და უფრო უჭირთ და მატჩის დამთავრებამდე 3,09 წუთით ადრე მოედანს ხუთი პერსონალურით ბერძენიშვილი ტოვებს. ჩემი აზრით, მატჩის ბედიც აქ გადაწყდა, რადგან შენგელიას და ბრწყინვალედ მოთამაშე ნაცვლიშვილს მხოლოდ ოთიურიძე შერჩა. თუმცა, კრიტიკულ მომენტში ცხვედიანმა იმ დღეს თავისი ერთადერთი სამქულიანი ჩაგდო და „დინამო“ ხუთი ქულითაა წინ 79:74. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ „ვითა“ გამარჯვებას ხელიდან არ გაუშვებს. ნაცვლიშვილი ბურთს ათავსებს კალათში, საჯარიმოსაც უმატებს და 77:79. ორმოცაძე ორ ჯარიმას აგდებს და ანგარიში თანაბრდება. ნაცვლიშვილის კიდევ ერთი გარღვევა და 81:79. ბოლომდე იბრძვის მაისურაძე, რომელიც ბერძენიშვილთან ერთად იმ დღეს საუკეთესო იყო დინამოელთაგან და 38 წამით ადრე ანგარიში თანაბარია — 81:81. სანაძის წინააღმდეგ ჯარიმდებიან: ერთი ზუსტი ტყორცნა და წინ „ვითაა“ 82:81. ბურთი დინამოელებს აქვთ, ცხვედიანმა გარისკა, შორიდან ტყორცნა, მაგრამ უშედეგოდ. ბურთი „ვითასია“, კვლავ სანაძის წინააღმდეგ ჯარიმდებიან და ისიც ორივე ჯარიმას აგდებს — 84:81. ბურთი „დინამოს“ შემოაქვს. იმედი სამქულიანზეა. დარსაძე ესვრის, მაგრამ...

„ვითა“ მეოთხედ ხდება საქართველოს ჩემპიონი! მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი კი გადაეცა ვახტანგ ნაცვლიშვილს, რომლის შესანიშნავმა თამაშმაც გადწყვიტა მატჩის და ჩემპიონობის ბედიც.

კოტე მგალობლიშვილი

UEFA Euro96 England

დარჩა 11 დღე

„სარბიელი“ ევროპის ჩემპიონატზე

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტების

რეპორტაჟები ინგლისის სტადიონებიდან

კვირაში ექვსჯერ!

გიორგი შენგელია: ფეხბურთი დამოუკიდებლობას მაჩვევს

ხურცილავა, ყიფიანი, შენგელია, დარასელია, მუჯირი, მეგრელაძე. ეს იმ ფეხბურთელთა გვარებია, რომლებიც ბოლოდროს ისევ არიან ყურადღების ცენტრში, ისევ ჩანან სათამაშო მინდორზე. ზოგნი გაორდნენ, ზოგნი მიიკარგნენ, მათ საქმეს კი შვილები აგრძელებენ. ზოგს ღირსეული შემცვლელი ჰყავს, ზოგისა აშკარად ვერ „ქაჩავს", თუმცა კი ცდილობენ...

ქუთაისის „ტორპედოს" ახალი თაობის წარმომადგენელი გიორგი შენგელია იმათგანია, ვისაც ბევრი იმედის თვალით შეჰყურებს, ბევრი „ისტორიზმის პრიზმაში" ატარებს, ბევრს კი საშუალო ღონის ფეხბურთელად ესახება.

გიორგიმ ჩემი ყურადღება იმთავითვე მიიპყრო, რაწამს კი რამაზ შენგელიას ვაჟი „ტორპედოში" აიყვანეს. ინტერესი კი მას მერე გამიორკეცდა, როცა შევნიშნე, რა დიდი მონდომებითა და თანმიმდევრობით ამსხვრევდა იგი ზემოთხსენებულ ფსიქოლოგიურ ხუნდებს და რა ძნელია ეს... თუმცა გიორგიც ცდილობს...

— როგორ ფიქრობ, რაც ამ სეზონში ითამაშე, სულ ესა ხარ თუ უფრო უკეთ შეგიძლია თამაში?

— ვერ ვიტყვი, რომ ჩემი თავი ბოლომდე გამოვავლინე. ეს რომ ვთქვა, მართალი არ იქნება. I წრეში ყველაზე მეტი ერთი ტაიმი ვითამაშე უწყვეტად და ვერც შევძლებდი ბევრს. II წრეში უკეთ გამომდიოდა. უფრო შევეჩვიე, თუმცა არც II წრისთვის ვიყავი მთლად კარგად მზად. მთლიანობაში არ ვარ ჩემი თამაშით კმაყოფილი.

— ვისი იდეა იყო, რომ საფეხბურთო კარიერა მამის გზით დაგეწყო?

— ქუთაისში წასვლა მართლაც სჯობდა. „ტორპედოში" ბევრი რამ ვისწავლე ვარჯიშზეც, თამაშზეც. დიდი მადლობელი ვარ გუნდის ხელმძღვანელობის, რომ თამაშებს მაძლევდნენ და ყველანაირად მიწყობდნენ ხელს, რათა ისე მეთამაშა, როგორც საჭიროა.

— შენ უფრო მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციიდან უტევდი. აქ გირჩევნია თამაში, თუ?...

— ასე გუნდის ხელმძღვანელობამ ისურვა. მეც მესმოდა, რომ იმ ადგილზე ვიყავი საჭირო. საერთოდ, ბავშვობიდან თავდამსხმელი ვარ და თავდასხმაში თამაში მირჩევნია, მაგრამ ამ პერიოდს დაკარგულად მაინც არ ვთვლი. ჩემს ახალ ადგილზე სამუშაოც მეტია და ძომავლისთვის უკეთესი იქნება — მიღებული გამოცდილება ყველგან გამომადგება.

— თუ თასის გათამაშებას არ ჩავთვლით, სადაც თბილისის „უნივერსიტეტს" ერთი გოლი გაუტანე, I წრეში ერთი გოლი იყო შენს ანგარიშზე, ახლა ექვსია. თავდამსხმელისთვის ეს ცოტაა, ნახევარმცველისთვის...

— ნახევარმცველისთვისაც ეს საშუალო შედეგია. გატანილი გოლების რაოდენობა არ მაკმაყოფილებს. მთელ სეზონში რომ აიღო, 6 თუ 7 ბერთი გამოდის. თუმცა ამის მიზეზი ჩემი გამოუცდელობა იყო. I წრეში შეცვლაზე შემოვდიოდი, მერე უფრო შევეჩვიე და მეტი გავიტანე, საგოლე პასებიც საკმარისად იყო, მაგრამ ძალიან ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენე.

— ის, რომ რამაზ შენგელიას ვაჟი ხარ, ფეხბურთის თამაშის დროს თუ გეხმარება?

— შეიძლება ხანდახან კიდეც დამეხმაროს, მაგრამ უფრო ხელს მიშლის. ქუთაისში კოჭებში გიყურებენ, როცა იციან, ვისი შვილი ვარ. ელოდებიან — აი, აქ მამამისივით გაიტანსო. მოკლედ, უფრო მიძნელდება, ვიდრე მეხმარება.

— სულ არაფერში გეხმარება?

— ყოველ შემთხვევაში, იმას ვერ ვიტყვი, რომ მამის ხათრით მაყენებდნენ ძირითადში. უბრალოდ, მამა თითქმის ყველა თამაშზე მიხსნის ჩემს შეცდომებს. სადაც საჭიროა, მიწყრება, სადაც საჭიროა, შემაქებს. ისე, შექება ძალიან იშვიათია. თუმცა, რომ არა მამაჩემი და მისი დარიგებები, ალბათ, სულ სხვანაირად ვითამაშებდი.

— ქუთაისამდე იყო გუნდი, რომელშიც პირველად ითამაშე საქართველოს ჩემპიონატში...

— „ნორჩი დინამოელიდან" „მრეტებში" გადავედი. ეს ჩემთვის კარგი სკოლა იყო — II ჯგუფში ხომ, ფაქტიურად, კაცები თამაშობენ. ესეც დიდად დამეხმარა, გამიიოლა გზა.

— შენს დღევანდელ გუნდზე, ქუთაისის „ტორპედოზე" რას იტყვი?

— კარგი გუნდია. დასანანიცაა, შეიძლებოდა ევროტურნირებზე გასვლა, მაგრამ ყველა პრობლემამ ამ სეზონში იჩინა თავი. ეს ყველაფერი დაეტყო გუნდს და ისევ იმ, VII ადგილზე ვართ, რომელზეც I წრის ბოლოს ვიყავით. არადა, სამეულზე თავისუფლად შეიძლებოდა ფიქრი.

— რომელი გუნდი მოგწონს ჩვენს ჩემპიონატში?

— „დინამო". იგი ყველაზე კარგი გუნდია, „დინამოს" მერე კი ქუთაისი. ჩვენს გუნდს მომზადებით ბევრის მიღწევა შეუძლია, თუმცა ხელს გვიშლის ის, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას არ გვაქცევს.

— ყურადღებაში რას გულისხმობ? თქვენ ხომ ქალაქის ბიუჯეტზე ხართ.

— მე პირადად, შეიძლება, არც არაფერი მიშლიდეს ხელს, მაგრამ ჩვენთან ბევრს ცოლშვილი, ოჯახი ჰყავს სარჩენი. ასეთს ხელფასს რომ დაუგეიანებ, შეკრებას რომ ვერ მოუწყობ, რაც იმას ნიშნავს, რომ ვარჯიშიც არაა, ბუცი რომ საძებარი ექნება, მერე რა უნდა მოთხოვო. არცაა გასაკვირი, ასეთ ადგილებზე რომაა ქუთაისი.

— ესე იგი, შენი აზრით, „ტორპედოს" წესიერი პირობები ჰქონდეს, „დინამოსთან" ბრძოლას შეძლებდა...

— მე მგონი, ეგაა მიზეზი, თორემ ქუთაისში ფეხბურთელებიც კარგია და კოლექტივიც. არის იმის პოტენციალი., რომ ევროტურნირებზე გავიდეთ. „ტორპედო" პირველი თუ არა, მეორე გუნდი მაინც უნდა იყოს საქართველოში. მას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ლიდერებს ებრძოლოს. მეორე წრეში ყველა ლიდერთან კარგად ვითამაშეთ, თუმცა „დინამოსთან" მაინც წავაგეთ. სამაგიეროდ, ფოთს მოვუგეთ სახლში, „სამტრედიასთან" და „ბათუმთან" გასვლებზე ფრედ ვითამაშეთ.

— ამ სეზონის დასაწყისში ქუთაისელ გულშემატკივარს იმედი ჩაესახა — ახალი თაობა წამოვიდა და მათ გვარებს წამდაუწუმ ახსენებდნენ: აშვეთია, ჩხეტიანი, შენგელია, მამარდაშვილი, მეგრელაძე. გაამართლეთ იმედები?

— მაგაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ ფეხბურთში შრომაა ყველაფერი. მონაცემები ყველას გვაქვს, ოღონდ უნდა გამოვიყენოთ. ყველაფერი წინაა. ჯერ ახალგაზრდები ვართ, მაგრამ თუ არ ვიშრომეთ და არ ვივარჯიშეთ, ნიჭი ნიჭად დარჩება. ბევრი დაკარგულა ასე.

— ვიცი, ვარჯიშზე და შრომაზე ბევრს ფიქრობ. ვინ ჩაგინერგა ასეთი შრომისმოყვარეობა?

— პირველ რიგში, მამაჩემმა. ეს მისი დამსახურებაა. ყველამ იცის, როგორი ფეხბურთელიც იყო. ჰოდა, სულ ამას მეუბნებოდა, უშრომლად არაფერი გამოვიგაო. ბაბუაჩემიც ძალიან მეხმარებოდა დჯ ყოფილი ტორპედოელი კუსა წვერავაც, რომელიც ნათესავადაც მერგება. ბაბუაჩემის დამსახურებაა ის, რომ ახლა ასე მიხარია ფეხბურთელობა.

— ქუთაისთან ხელახლა შეგუება ხომ არ გაგიჭირდა?

— არ გამჭირვებიაო, ვერ ვიტყვი. მენატრება სახლი, ოჯახი, მაგრამ მე ბავშვობიდან დიდ დროს ვატარებდი ქუთაისში. როცა დრო მჭირდა, იქ მივდიოდი სულ. ახლა სადმე რომ მომიწიოს წასვლამ, გულიც დამწყდება. ბოლოსდაბოლოს, ქუთაისში დავიბადე.

— შენ ისე ლაპარაკობ, მგონი, უკვე წასვლა გადაგიწყვეტია. შენი აზრით, ეს სეზონი საკმარისი იყო იმისთვის, რომ უკეთეს გუნდში სათამაშოდ მომზადებულიყავი?

— არა. წასვლას არსად ვფიქრობ. დიდი სურვილი მაქვს, რომ ისევ ქუთაისში დავრჩე. ჩემი სწავლა ახლა დაიწყო და ასე უცებ ვერც ვიქნებოდი მზად. ვერ ვიტყვი. რომ იმდენი შევძინე, დიდ გუნდში თამაში რომ შემეძლოს. მე ახლა მხოლოდ ერთზე ვფიქრობ: ვიცი, რომ 18 წლამდე ნაკრებს შესარჩევი ტურნირი გვაქვს. კარგ ჯგუფში მოვხვდით — ბულგარეთთან და ხომხეთთან. მალე ორკვირიან შეკრებაზე მივდივართ კიოლნში. მინდა ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ ბოლოსდაბოლოს დავძლიოთ ეს ბარიერი.

— ცხოვრებაში გამოსადეგი რა გასწავლა ფეხბურთმა?

— პირველ რიგში, დამოუკიდებლობას ვეჩვევი. სულ შმობლების კისერზე ხომ არ უნდა იყო. ჯერ ბოლომდე დამოუკიდებელი არა ვარ, მაგრამ ვცდილობ, ჩემი შრომით მივაღწიო ამას. ფეხბურთელის ბედიც ხომ ასეთია, ხან ერთი გუნდში მოგიწევს თამაში, ხან მეორეში.

— სკოლა თუ დაამთავრე?

— წელს დავამთავრე. მინდა საერთაშორისო ურთიერთობებზე ჩავბარო. ვემზადები კიდეც, მაგრამ სწავლისთვის იმდენი დრო აღარ მრჩება. ბოლო-ბოლო, ჩემი პროფესია ფეხბურთია.

— შენზე, როგორც ჭაბუკ ფეხბურთელზე, დამთრგუნველად არ მოქმედებს ისეთი თამაშები, სადაც ან მეტოქე გჩაგრავს, ან მსაჯი?

— რა თქმა უნდა. დღევანდელ ფეხბურთში ბევრი ასეთი შემთხვევაა. მინდა გამოვამეღავნო ჩემი თავი და ამ დროს ამის საშუალება არ მეძლევა. ხანდახან გულიც მიტყდება, მაგრამ არ მინდა ამასთან შეგუება. არც შევეგუები თუნდაც იმას, რომ ამის ხარჯზე მატერიალური მხარე გავიუმჯობესო.

— ვინ არის შენი იდეალი ფეხბურთში?

— ბევრი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჩემი იდეალი სტოიჩკოვია. მისი თამაშის მანერაც მომწონს და პიროვნებაც. მართალია, ხანდახან უხეშია და თან ახლა ვერ არის თავის დონეზე, მაგრამ...

— რომელ ნაკრებს გულშემატკივრობ, ადვილი მისახვედრია — ბრაზილიის მაისურს თამაშის გარდა არ იშორებ. რა მოგწონს ბრაზილიელების?

— ბერთის ფლობა, თამაშის მანერა. ფეხბურთი მაღალი დონისა აქვთ, ძლიერი ფეხბურთელებიც ჰყავთ. ბრაზილია უძლიერესია დღევანდელ ფეხბურთში და აკი არის კიდეც მსოფლიო ჩემპიონი. შეიძლება, ვინმემ მოუგოს კიდეც, მაგრამ მაინც ყველაზე ძლიერია...

ამ სიტყვებში კარგად ჩანს გიორგის ხასიათის მტრიხები. რასაც იწამებს, მისი ბოლომდე სჯერა, რასაც მოინდომებს, მიაღწევს. სხვა რაღა დარჩა — ვინც მოინდომებს, ის მიაღწევს კიდეც.

ვახტანგ ბზიკაძე

კიდევ იქნება სენაკში ფეხბურთი?!

სენაკის „ეგრისი" 27-ე ტურის შემდეგ გამოეთხოვა პირველ ჯგუფს. ამ ფაქტმა ისედაც არეულ გუნდს მთლიანად მოუთავა ხელი და სენაკელები ბოლნისში სათამაშოდ აღარც ჩასულან. თუ ყვარელში ჩაუსვლელობის მიზეზად ავტობუსის გაფუჭება დასახელდა, ბოლნისში ჩაუსვლელობისთვის ვერაფერი მოიფიქრეს, გარდა თავიანთი უილაჯობისა. აშკარად ჩანს, სენაკში არავის ეფეხბურთება. არადა, ვიყავი მხილველი იმ სიხარულისა, იქაურებს „ეგრისის" პირველ ჯგუფში გადასვლამ რომ მოუტანა. მერე და მერე ყველაფერი აირია: კლუბის პრეზიდენტმა თანამდებობა დატოვა, რაიონის ხელმძღვანელებიც საქმეს უგულისყუროდ მოეკიდნენ და დარჩა გუნდი უპატრონოდ. სწორედ სენაკში მოხდა ის გასაკვირი შემთხვევა, რაც აღრეც გაუწყეთ და ახლაც შეგახსენებთ: პირველი წრის ბოლოს „ეგრისს" „დილასთვის" უნდა ემასპინძლა. გორელები სათამაშოდ კი ჩავიდნენ, მაგრამ მასპინძლებმა თამაშზე ცივი უარი განაცხადეს. არც ის დავივიწყოთ, ასევე სტუმრად ჩასულ ბათუმელ ფეხბურთელებს და მათი გუნდის ოპერატორს მასპინძელთა კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სტადიონზე რომ გადაუხტა და შეურაცხყოფა მიაყენა. ჰოდა, ყველაფერი ერთმანეთს დაემატა და შედეგმაც არ დააყოვნა — „ეგრისი" ჩემპიონატის დამთავრებამდე მოხსნეს გათამაშებიდან. ფეხბურთის ფედერაცია ამ საკითხზე კიდევ იმსჯელებს. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გახდება ცნობილი, მოსცემენ თუ არა საერთოდ სენაკის გუნდს დაბალ ლიგაში თამაშის უფლებას. გავარდნით ვინ არ გავარდნილა, მაგრამ ხელი საბოლოოდ მხოლოდ იმათ ჩაუქნევიათ, ვისაც ფეხბურთი გულზე არ ეხატებოდა. ყვარლის „დურუჯი" ჩემპიონატის დაწყებიდან რამდენიმე ტურის შემდეგ, ფაქტობრივად, გავარდნილი იყო, მაგრამ იქაურები პატიოსნად ამთავრებენ სეზონს, თამაშებზეც დადიან და მომავალზეც ფიქრობენ.

ყველაზე ცოდონი სენაკელი ფეხბურთის გულშემატკივრები არიან, რომელთაც ამ უსიხარულო დროში ერთადერთი გასართობი მოუსპეს. ან იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებს რა ეშველებათ, უსაქმოდ რომ დარჩებიან. მათ ხომ ძალუნებურად ქუჩაში ყიალი და გზიდან აცდენა ემუქრებათ. ამ ყოველივეზე დაფიქრება, რა თქმა უნდა, აუცილებელია და იქნებ რაიონის ხელმძღვანელებმა თავი შეიწუხონ და სენაკში ფეხბურთი არ ამოძირკვონ.

მამუკა კვანტალიანი

«მეტალურგი» დროს არ აცდენს

25 მაისს ამხანაგური მატჩი გამართა საქართველოს 18 წლამდე ასაკის ნაკრებმა, რომლის სპარინგ-პარტნიორი რუსთავის „მეტალურგი" გახლდათ. შეხვედრა რუსთავის „ფოლადის" სტადიონზე ჩატარდა.

ვახტანგ კოპალეიშვილის ნაკრებში 6 პირველჯგუფელი თამაშობდა, „მეტალურგმა" კი თექვსმეტივე ფეხბურთელი გამოსცადა. ბრძოლა აშკარად არათანაბარი გამოდგა, რადგან ნაკრებმა ეს შეხვედრა წინასწარი მომზადების გარეშე ჩაატარა, თუმცა პირველი ტაიმი მაინც 0:0 დამთავრდა. საბოლოოდ, „მეტალურგმა" მოიგო 2:1 პატარიძისა და ჯელაძის გოლების წყალობით. ნაკრების ერთადერთი გოლი გოგოლაძემ გაიტანა. ნაკრები 3 ივნისს კიოლში მიემგზავრება ორკვირიან შეკრებაზე, „მეტალურგი" კი თასის ფინალით გამოწვეული შესვენებისას დროს არ კარგავს და არამარტო ბოლო, ძნელი თამაშისთვის, არამედ უეფას თასზე სათამაშოდაც ემზადება.

მეორე ჯგუფი ერეკლინაბ

აღმოსავლეთში მორიგი ტური ყოველგვარი პოლემიკისა გარეშე ჩაიარა. ლიდერებმა — „მერანი 91"-მა და „დინამო-2"-მა კვლავაც გაიმარჯვეს, თუმცა ეს გათამაშების გამარჯვებულის ვინაობა, ფაქტობრივად, გარკვეულია, რადგან, არა გვგონია, „მერანი 91"-მა ის ცხრაქულიანი უპირატესობა გაფლანგოს, უახლოესი მდევრისაგან რომ აშორებს.

ცოტა ამოისუნთქა „მრეტებმა", რომელმაც დედოფლისწყაროს „შირაქს" მოუგო და საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა. რაც შეეხება ახალციხელებს, ბოლო მატჩებში კარგად კი თამაშობენ, მაგრამ ბოლოდან მეორე ადგილს მაინც ვერ გასცილდნენ.

ლიდერებმა დასავლეთშიც მოიგეს, მაგრამ აქ პირველი ადგილის ბედი ბოლო ტურში, წყალტუბოში გადაწყდება: „სამგურალი" „ანჯელს" უმასპინძლებს. გულშემატკივრებს არც მანამდე გამოლევიათ გასართობი. „მერცხლმა", მაგალითად, ჭიათურაში მოუგო „მაღაროელს", მაგრამ ოზურგეთელ ფეხბურთელებს თან მატჩის არბიტრიც შემოლახვიათ. ამ ამბავს ფედერაციის სადისციპლინო კომისია უახლოეს დღეებში გაარჩევს.

უკვე გაუწყეთ, რომ საჩხერის „ჩიხურა" 29-ე ტურში ზუგდიდში არ ჩავიდა, ამიტომ ვითარებაში გარკვევამდე ფედერაციამ მორიგი ტური გადაუდო და ჩაუსვლელობის მიზეზი მოსთხოვა. მიზეზად კი ამას ამბობენ, თამაშის წინ მთელი გუნდი მოიწამლა და, ბუნებრივია, სათამაშოდ ვერ წავიდოდაო.

კურიოზული შემთხვევა მოხდა ხარაგაულში. „ჩხერიმელამ" სტუმარ „მამისონს" ნაღდ ბრძოლაში კი აჯობა, მაგრამ მატჩის მსვლელობისას ვიღაც ხელმრუდმა ორ სტუმარ ფეხბურთელს ფეხსაცმელი მოპპარა და შინ ფეხშიშველი გაუშვა. ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ხარაგაულის სტადიონზე გასახდელები არ იკეტება. ეს ამბავი მასპინძლებისთვის არის ერთობ სამარცხვინო, თორემ გაქურდული ფეხბურთელი, ამ გაჭირვების ჟამსაც, როგორმე სხვას იშოვის.

მამუკა კვანტალიანი

XXXI ტური

აღმოსავლეთი

არმაზი — ენერგეტიკოსი 2:1
ჭაბუკიანი — მორკინალი 1:1
თორი — ასკ 1:2
დინამო 2 — ალგეთი 2:0
აკადემია — ცხინვალი 2:1
მრეტები — შირაქი 3:1
იბერია — მესხეთი 3:2
ჟინერი — მერანი 91 1:5
უნივერსიტეტი — კოდაკო 3:1

მერანი 91	29	23	3	3	80:16	72
დინამო 2	28	20	3	5	74:18	63
მორკინალი	29	18	6	5	56:20	60
აკადემია	30	18	4	8	51:37	58
უნივერსიტეტი	29	18	3	8	64:31	57
არმაზი	29	16	8	5	38:19	56
აზოტი	29	14	6	9	50:34	48
ასკ	29	14	4	11	47:37	46
ჭაბუკიანი	30	12	4	14	54:49	40
ენერგეტიკოსი	29	11	7	11	45:40	40
ალგეთი	30	11	4	15	38:48	37
იბერია	29	11	4	14	37:48	37
ცხინვალი	29	9	7	13	34:33	34
კოდაკო	29	7	8	13	35:60	29
მრეტები	30	7	6	17	26:71	27
შირაქი	29	7	6	16	33:52	27
ჟინერი	30	6	6	18	30:78	24
მესხეთი	29	5	3	21	29:79	18
თორი	30	3	4	23	24:64	13

დასავლეთი

შუქურა — საპოვნელა 2:2
მარგვეთი 2 — ჩიხურა 6:0
ოდიში 2 — რწმენა 0:1
მაღაროელი — მერცხალი 2:3
კოლხეთი 2 — ანჯელი 0:1
სულორი — იაგუარი 3:0
(იაგუარი არ გამოცხადდა)
ჩხერიმელა — მამისონი 2:1
იმერეთი — სამგურალი 1:3
სქური — მეშახტე 2:3
სამეგრელო — ბახმარო 4:0

ანჯელი	31	27	2	2	78:19	83
სამგურალი	31	26	3	2	96:23	81
შუქურა	31	23	5	3	97:29	74
მაღაროელი	31	23	3	5	72:26	72
იაგუარი	31	19	2	10	62:44	59
სულორი	31	18	2	11	56:41	56
მამისონი	31	14	2	15	55:59	44
მერცხალი	30	12	8	10	42:44	44
რწმენა	31	13	4	14	52:42	43
იმერეთი	31	12	5	14	43:43	41
მეშახტე	31	11	5	15	49:53	58
საპოვნელა	31	9	10	12	40:61	37
კოლხეთი 2	31	10	6	15	36:41	56
სამგურელო	31	10	5	16	49:61	35
მარგვეთი 2	31	11	1	19	45:62	34
ოდიში 2	31	9	7	15	48:58	34
სქური	31	10	2	19	37:58	32
ჩხერიმელა	31	7	3	21	45:99	24
ჩიხურა	30	5	3	22	37:95	18
ბახმარო	31	0	2	29	31:112	2

მიხეილ ყაველაშვილი: სწორი არჩევანი გავაკეთე

„იუნაიტედთან“ მატჩის 39-ე წუთზე სიტელმა ფრონცეკმა მეტოქის საჯარიმოში ...ალიდა ბურთი, ორმეტრიანმა ნილ ქუინმა სამაერო ორთაბრძოლა მოიგო და თავით ...ველაშვილს დაუგდო. მიშამაც ერთი შეხებით დაამატა და შმაიხელს შეუგდო...

...ასე აღნიშნა პრემიერლიგაში დებიუტი ინგლისის საუკეთესო გუნდთან ...ველაშვილის ფორვარდმა. მაგრამ „სიტი“ მაინც გავარდა და, თუ ეჭვიც არავის ეპარება, რომ ...ნდლაძეს სხვა, მძლავრი კლუბი გადაიბირებს, მიშას, წარმატებული დებიუტის მიუ...ედავად, ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს, რომ ძალუძს „იუნაიტედში“, „ლივერპუ...ლში“ და სხვა ძლიერ გუნდებში თამაში.

— მიშა, ახლა უკვე დაწყნარებულ, ცივ ...ონებაზე გეკითხები: სჩობდა კი ჩემპიონ „ლანიადან“ გასვარდნად განწირულ „სი...ტში“ გადასვლა?

— ინგლისში გადასვლას არ ვნანობ. სა...�დ დავთანხმდებოდი, ძალიან ბევრი ვიფი...ქრე, თანაც ის ვარიანტიც დავუშვი, რომ „სიტი“ გავარდებოდა. მე სწორი არჩევანი ...ვაკეთე. დავრწმუნდი, რომ ინგლისისნა...ირი საფეხბურთო ქვეყანა არ არსებობს. ...ფიდი, რომ ასე ინგლისელი გულშემატ...კივრები მსჯელობდნენ, მაგრამ ახლა, ინ...გლისში რამდენიმე კვირის ყოფნის შე...დეგ, მათ აბსოლუტურად ვეთანხმები. სა...ფეხბურთო ინგლისი, მთელი თავისი ატ...რაქციებით, სამოთხეა ფეხბურთელი...სთვის. თუ გინდა ფეხბურთს გემო გაუგო, ...აქ უნდა ითამაშო. ინგლისელები ამბობენ, ...ვინც აქაური კლუბების მატჩებს უყურებს, ...მერე აღარ მოისურვებს გერმანიისა და ...საუნდაც იტალიის ჩემპიონატის ცქერასო. ...მართლაც ასეა. ინგლისური ფეხბურთი ...სრულიად დაკმაყოფილებს საფეხბურთო ...გერმანების ყველა პრეტენზიას.

— ეგ ალბათ პრემიერლიგაზე უფრო ...თქმის, შენ კი ახლა რანგით დაბალ ლიგაში ...მოგიწევს თამაში.

— განსხვავება კლასში როგორ არ იქ...ნება, მაგრამ დაძაბულობა და ბრძოლის სი...ფხვიერე არც ქვედა დივიზიონშიც იქნება ნა...ლები, თუ მეტი არა. „სიტის“ მიზანი პრე...მიერლიგაში დაბრუნებაა და კლუბი ამი...თვის ყველა ღონეს იხმარს, მით უმეტეს, ...რომ ლიც რჩება თავის პოსტზე და ბოლიც. ...პრემიერლიგის საგზურის მოპოვება ბრწ...ყინვალე რეაბილიტაცია იქნება გულშემა...ტკივრის თვალში.

— ბევრი რამ კი გვსმენია, მაგრამ ინგლი...ელ გულშემატკივრებზეც გვითხარი ორი...ოდე სიტყვა...

— ინგლისში კაცები თამაშობენ ფე...ხბურთს და ტრიბუნებზეც კაცები სხედან, ...ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ინგლისში ...ეგაცურ ფეხბურთს თამაშობენ. აქ ვერ ...ნახავთ უკნიდან არაკაცურ მოცელვებს, სი...ელაციას, მეტოქის თუ გულშემატკივრის ...შეურაცხოფას. ინგლისელი ფანი ამგვარს ...ვერ შეჭვული არაა. ვერც დროის გაყვანას ...ეტს ნახავთ. მაყურებელი, როგორც კი ...ორივე გუნდის, ფეხბურთის ან ფეხბურთე...ლის ღირსების შემლახველ რაიმე ფაქტს ...ეამჩნევს, ისეთ ღრიანცელსა და გუგუნს ...ატეხს, დამნაშავე მზადაა მიწაში ჩაძვრეს, ...ოდონდაც გულშემატკივრის რისხვას გა...ეურჩეს. ახლა პრესა? სხვას თუ გამორჩა, ...ათ ხომ არასოდეს გამოპარებათ განწირან ...ბეშობა, სიმულაცია თუ სხვა არაკაცობა. ...ესეთ ამბავს დაგაყრიან, ფეხბურთს დაგაგი...ყენებენ. ამიტომ ყველა გუნდი, ყველა ფეხ...ბურთელი ბოლომდე იხარჯება, რათა მა...ყურებელს სიამოვნება მიანიჭოს. არა...ოდეს დამავიწყდება „ლივერპული“ — „ნიუკასლის“ მატჩი. თამაშის დამთავრება...დე 2 წუთით ადრე „ნიუკასლი“, რომე...�ც საჩემპიონოდ იბრძვის, 3:2 იგებს ლი...ვერპულში. ორი წუთი რაა? გააგორ-გამო...აგორე ბურთი, ტემპი დააგდე, ხანდახან ...ტრიბუნებზეც მოისროლე, დროც ცოტა ...გაწელე და მორჩა. ნებისმიერ ქვეყანაში, ...დარწმუნებული ვარ, ასე მოიქცეოდნენ, ...მაგრამ არა ინგლისში! ასე რომ მომზდა...რიყო, მერე „ნიუკასლი“ მაყურებელს და ...ღირსებასაც დაკარგავდა. ჰოდა, „ნიუკა...სლმაც“ შეუტია და იმ ორ წუთში სასწა...ული თამაში გაჩაღდა. „ლივერპული“ კო...ნტრშეტევაზე ჯერ ათანაბრებს, მერე კი ...იგებს მატჩს! ვერ წარმოიდგენთ, რა სანა...ხაობა იყო. მაყურებელი ფეხზე მდგარი ...უკრავდა ტაშს გუნდებს...

კარგი ბიჭი ხარ და პენალტის ან სხვა ...რამის გამო ისიმულიანტე — არ გაპატიე...ბენ. ასეთი ატმოსფერო გაჩვევს, რომ ჯე...ლტმენი იყო მოედანზეც და მის გარეთაც. ...ასეც არის.

— ქინქის მალე ალბათ პრემიერლიგის ...რომელიმე ძლიერი გუნდი წაიყვანს. არ გე...შინია მარტო დარჩენა?

— ამას უკვე შეგუებული ვარ. რა დროს ...ეგოისტობაა, თავადაც ვუჩიჩინებ გიოს — ...დროა იმაზე ფიქრს შეეგუოს, რომ „სიტი“ ...დასტოვოს. ცოდვაა ბიჭი, მთელი სეზონი ...მარტომ ათრია გუნდი. კი, ძალიან სამწუ...ხარაა, რომ უნდა წავიდეს ქალაქიდან, სა...დაც ასე ძალიან უყვარს ყველას, მაგრამ სხ...ვაგვარად არ შეიძლება, ქინქის ადგილი მა...ნჩესტერში აღარ არის. გიოს ტირილი ...უნდა გენახა „ლივერპულთან“ მატჩის მე...რე, ვერ ვაჩერებდი, მაგრამ რას იზამ, უნდა ...წავიდეს. ძალიან კი უჭირს, მაგრამ ბოლო...სდაბოლოს, ჩვენ „დინამოც“ ხომ დავტო...ვეთ...

— ლი რომ „ახვევს“ გიოს დასარჩენად, ...ვიცით. შენ რას გეუბნება?

— შენი დიდი იმედი მაქვს და უნდა და...მეხმაროო. ის კი არა, „სიტიში“ შოთიკოს ...ჩამოყვანა ჯერ კიდევ არ ამოუღია გული...დან. გუნდი უნდა გავაძლიეროო.

— ათასჯერ კი გითქვამს, მაგრამ მაინც მი...ნდა გაიხსენო შენი ჩასვლისა და პირველი ...მატჩის პერიპეტიები.

— „ბოლტონთან“ ვერ ვითამაშე. ბოლმა ...მითხრა, „იუნაიტედთან“ უნდა დაგაყენო, ...თანაც, მატჩის წინ დამარიგა: თავდასხმაში ...შენ და ქუინი იქნებით. ეცადე, შეტევები...სას ქუინის ახლომახლო იყო, ის შუამ...შეეცდება სამაერო ბრძოლა მოიგოს და ...თავით ბურთი დაგიგდოსო. მართლაც, ...როცა ფრონცეკმა ჩამოაწოდა, ვიგრძენი, ...რომ ქუინი დამიგდებდა და ასეც მოხდა. ...გავგიჟდი, შმაიხელს რომ გოლი შეეგუგდ...მერე კი კინაღამ მოვკალი ეს მთასავით კა...ცი: მეორე ტაიმის დასაწყისში მოვიგდე ...ბურთი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ...დავარტყი. შმაიხელი, როგორც ახასია...თებს, გაშლილი ხელებით გამოვიდა და ...შიგ სახეში მოხვდა. რაღაცნაირად თავი ...შეიკავა, სანამ საფრთხე არ განეიტხტა და ...მერე გული წაუვიდა. ძლივს მოაბრუნეს.

— შენით უკმაყოფილო ბოლი არც სხვა ...თამაშებში ყოფილა და მერაბ ჟორდანიასთ...ვისაც უთქვამს ამის შესახებ. და მაინც, ბირ...მინგემში არ გთამაშა. რატომ?

— ბოლმა მითხრა, მე კარგად ვიცი შე...ნი შესაძლებლობანი, ჯერ მაინც შეგუების ...ეტაპი გაქვს, გიოსაც კი ამისთვის 10 თამა...შე დასჭირდაო. დღეს კი გადამწყვეტი თა...მაშაა, წავაგებთ და გამოვარდებით, ამიტომ ...ისევ იმ ფეხბურთელებმა აგონ პასუხი, ...ვინც საქმე აქამდე მოიყვანა, არ მინდა შენ ...დაგბრალდეს წარუმარტებლობაო. ეტყობა, ...ბოლი ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბი...რმინგემში ვერ მოიგებდა.

— ბოლო მატჩში მოგება არ შეგეძლოთ?

— რა თქმა უნდა შეგვეძლო, მაგრამ ბე...რი შეცდომა დავუშვით: ბოლს ქუინი არ ...უნდა გამოეცვალა, მერე იყო და, ღამასმა ...დროის გაყვანა დაიწყო. მატჩის შემდგომ ...კომენტარებს ტელევიზიით გარი ლინეკერი ...აკეთებს და ეს მომენტი რამდენჯერმე ...უჩვენა ტელევიზიაში: გუნდს მოგება უნდა, ...ამას კი დრო გაპყავსო. მე რომ შემიყვანა, ...0:2-ს ვაგებდით და ბოლს ხელი ჩაქნეული ...ჰქონდა. გიოს მეტი ძალა მიეცა და ორიო...დ წუთში პენალტი აიკიდა. მერე ჩემი პა...სით ანგარიშიც გათანაბრდა. დრო კიდევ ...რჩებოდა, საიმონსმა მომაწოდა, საგოლე ...მომენტი იყო, მაგრამ მუხლზე მომხვდა ...ბურთი და ვერ შეეგდე. მერე შორიდან ...დავარტყი — ოდნავ აცდა. მოკლედ, ამ შე...ტევებში ვართ და, როგორც ვთქვი, ღამას...მა დროის გაყვანა დაიწყო. ტემპი უცებ ...დავარდა, შეტევის ხალისი გაქრა. გიოს მი...ვვარდი: ნუთუ გვყოფნის ფრე-მეთქი. ...არაო, მაგრამ უკვე ძნელი იყო ტემპის მო...მატება, თანაც, რამდენიმე წუთიღა რჩებო...და. დამთავრდა მატჩი და ჩამოვარდა სრუ...ლი სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ გულშე...მატკივართა ქვითინი თუ არღვევდა. ენით ...აუწერელი სანახაობა იყო...

— შენი აზრით, რა იყო თქვენი გავარდნის ...საბოლოო მიზეზი?

— როგორ გითხრა. ცალ-ცალკე ყველა ...კარგი მოთამაშეა, მაგრამ გუნდი ძლიერ...რიაო, ვერ იტყვი. თუ გახსოვს, ასეთი პე...რიოდი 80-იანი წლების მეორე ნახევრის ...„დინამოსაც“ ჰქონდა: კარგი ფეხბურთე...ლები იყვნენ, გუნდი კი არ ბრწყინავდა.

— ბოლი რაღას იძახდა?

— ბოლი ყველაფერს პირველ ათ ტურს ...აბრალებდა: მაშინ ერთი თამაშიც რომ მო...გვეგო, ამ დღეში არ ჩავარდებოდითო, ...„ლივერპულთან“ წაგება კი ხეში ბრალია, ...არასწორი ტაქტიკა ავირჩიეთ...

— შენი ინგლისური მომავალი როგორ ...წარმოგიდგენია?

— ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ...აქ ყველა პირობაა, რომ მთლიანად გამო...ავლინო შენი თავი. ამგვარად არსად და ...არასდროს ყოფილვარ. ყველა პირობა ...მაქვს, რომ მარტო ფეხბურთზე ვიფიქრო. ...ეგაა, დრო არ მეყო სრული ადაპტაციისა...თვის. არადა, გაზაეთან საკმაოდ კარგად ...ვიყავი მომზადებული ფიზიკურად. თანაც ...ფსიქოლოგიური შიშიც გვქონდა, სულ ...XV-XX ადგილებზე ვიყავით და თავი ...ვერ ავწიეთ. ახლა კი შეერებასაც ნორმა...ლურად გავავლი, კლუბსაც შევეწყობი და ...ჩემს შესაძლებლობებს სრულად გამოვამ...ჟღავნებ. მთავარია, რომ საფეხბურთო ქვე...ყანაში მოვხვდი. ისეთში, როგორზეც ვო...ცნებობდი...

მამუკა კვარაცხელია

ვრცელი ინტერვიუ გიორგი ქინქლაძე...სთან — მომდევნო „სარბიელში“

ქინქის დედა სადღა თამაშობდა?

გასული წლის დეკემბერს გიორგი ქი...ნქლაძის დედა, ქალბატონი ხათუნა მანჩე...სტერში რომ ჩავიდა, ჟურნალისტებმა ...ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს. წარსუ...ლში ცნობილმა შოტლანდიელი ფეხბურ...თელი ენდი გრეი, „სიტი“ — „ტოტენჰე...მის“ მატჩის კომენტარისას ღამის ყოველ ...წუთს იმეორებდა, ბურთითაა ქინქლაძე, ...რომელსაც ამას წინათ დედა ჩამოუვიდაო. ...მატჩის შემდეგ კი ერთმა ობუნჯმა ჟურნა...ლისტმა ალან ბოლს ჰკითხა, ამ ქალბატო...ნის ჩამოსვლაზე რომ ერთი ამბავი ატეხ...ეთ, ნეტავ გამაგებინა, ქალბატონ ქინქლა...ძეს რა ადგილზე ითამაშებთო...

მოკლედ, ხუმრობა იქით იყოს და ქალ...ბატონ ხათუნას ჩასვლამ მანჩესტერი მა...რთლაც აფორიაქა. ინგლისურის არმცო...ოდნეს „პითროუს“ აეროპორტში გზის გაკ...ვლევისას გერმანულად უთქვამს, გიოს დე...და ვარ, ეგება, ის გასასვლელი მაჩვენოთ, ...მანჩესტერის თვითმფრინავი რომ მიფრი...ნავსო. ამის თქმა იყო და იმ გასასვლელში ...რამდენიმე წუთით მუშაობა შემწყდარა, ...ყველას უნდოდა ქინქის დედის ნახვა, მიკ...როფონი კი იმეორებდა: ქალბატონო ხა...თუნა, აქა და აქ გელიან, ნუ ნერვიულო...ბთო. მანჩესტერში ჩასვლისთანავე ერთ ...იქაურ გაზეთში დაიწერა: ქინქის დედა ...ამბობს, შინ მეუღლე რობი და ქალიშვილი ...მერიენი დაგტოვეო...

— იქაურ ჟურნალისტებს ნულარ მიხ...სენებთ — ღიმილით მეუბნება ქალბატონი ...ხათუნა — რას არ წერდნენ. ჩემი ნათქვა...მი კიდევ არაფერი, ერთხელ გიოზე ასეთი ...რამე დაწერა „დეილი მირორმა“ — ვითომ ...გიოს უთქვამს, რუსების წინააღმდეგ ...იარაღით ვიბრძოლებდიო. ეს ნამეტანი ...იყო და ერთი ამბავი ავტეხეთ, ღიმ დარეკ...ა იმ გაზეთში და მეორე დღეს საბოდიშო ...წერილი დაბეჭდეს.

— ჩასვლისთანავე, ალბათ, სამზარეულო...ში ქართულად ტრიალს შეუდეგით. ყველა...ზე ხშირად რომელი სიტყვები გსტუმრო...ბდნენ?

— სამერბი, საიმონსი, ფრონცეკი, ღო...მასი და „სიტის“ კაპიტანი ქეით ქერლი. ...განსაკუთრებით საცივი მოსწონდათ.

— თამაშებს თუ უყურებდით?

— არა, თამაშებს არ ვუყურებდი. უფრო ...სწორად, ვერ ვუყურებდი. როდესაც მატ...ჩები მთავრდებოდა და მიმოხილვა იწყე...ბოდა, გულისფანცქალით ჩავრთავდი ტე...ლევიზორს. ჯვილაშვილის გოლზე, მა...ხსოვს, გული შემიწუხდა. ძალზე მშველო...და თქვენი ღონდონელი კორესპონდენტი ...დავით შქედლიშვილი, რომელიც „სარბი...ელით“ მამარაგებდა, ხშირად მირეკავდა ...და მამხნევებდა.

— რობინზონ ქინქლაძისეული „ქინქის ...გაზრდის მეთოდი“ ხომ არ გაგინდვიათ ინ...გლისელთათვის?

— ხუმრობა იქით და, გიომ ერთ ჟურ...ნალისტს უთხრა კიდეც, ჩემს აღზრდაში ...ყველაზე მეტი წვლილი მამაჩემმა შეიტა...ნო.

— მანჩესტერს კი შეეჩვიეთ, მაგრამ ახლა ...დატოვება რომ მოგიწევთ?

— მეც მაგას არ ვნაღვლობ? გიოს გუ...ლშემატკივრები დასდევდნენ თურმე, ფე...ხზე მაკცინნეო. ბირმინგემში 25 ათასი ...კაცი ჩასულა მანჩესტერიდან, ყველას გიოს ...მაისური ეცვა და საქართველოს დროშას ...აფრიალებდა, „ლივერპულთან“ კი უზარმა...ზარი ქართული დროშები გამოიტანეს — ...გიო და მაიკლ, თქვენი იმედი გვაქვსო. არ ...ვიცი, სხვაგან როგორ, მაგრამ მანჩესტერე...ლების დარი თბილი ხალხი არა მგონია, ...საძებ იყოს.

... ადგილის გამოცვლას რაც შეეხება, ...გიო გადმეკიდა — შენ რომ ჩამოხვედი, ...ლივიდან იმიტომ გავვარდით და ახალ ...კლუბში აღარ წაგიყვანო...

მამუკა კვარაცხელია

სტუმრობა თემქაზე

ახლახან სპორტკლუბმა „სიხარუ...ლმა“ უმასპინძლა 1983 წელს დაბადე...ულ მოზარდთა ტურნირს, რომელიც ...ვეტერანი ფეხბურთელის, ამ სპორტკ...ლუბის სტადიონის აშენების თაოსანის ...გივი კობაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ...ყმაწვილ თემქელ ფეხბურთელებს დიდი ...სტუმრიანობა ჰქონდათ: თბილისიდან ...„ნორჩი დინამოელი“, ახალგაზრდობის ...საფეხბურთო სკოლა, „მთვარის გლო...ბუსი“, „მეტეხი“, მუხიანის გუნდი, რაი...ონებიდან კასპელი და საგარეჯოელი ...თანატოლები ეწვივნენ. ფინალში მასპი...ნძელ „სიხარულს“ ახალგაზრდობის სა...ფეხბურთო სკოლა დაუპირისპირდა. ...ძირითადი დროის 0:0 დამთავრების შე...მდეგ ჯერი პენალტებზე მიდგა და აქ სა...ფეხბურთო სკოლის (დირექტორი — ...დამსახურებული მწვრთნელი კლადი...მერ ელოშვილი, მწვრთნელი — გია ჩა...რკვიანი) აღსაზრდელებმა 5:4 იმარჯვეს ...და პირველი ადგილიც დაიკავეს.

პეტერბურგი-სხვა ...ლი დინამოს-ქლოდნენ

ზენიტი 2:0 დინამო-2

ზენიტი: ბერეზოვსკი (პრიხოდკო 46), ნა...უმოვი (იგონინი 56), კონდრაშოვი, ...ბოკოვი, პოპოვი, ნეველევი (ეგუნოვი ...46), უგაროვი, დანილოვი, მატვეევი, ...კულიკი (ბიხტროვი 65), ერიომინი

დინამო 2: ასლანიძე (ჩლაიძე 46), და...ვითნიძე, არჩვაძე, ჭიჭვეიშვილი, სახ...ვაძე, ზამთარაძე, ტრაპაიძე, ხორხელი, ...გადელია (ჩუხუა 42), ლ. ყიფიანი, გა...ხოკიძე

1:0 უგაროვი (27), 2:0 დანილოვი (36)

გაფრთხილება: ნაუმოვი, დანილოვი, გა...დელია, უგაროვი

გაძევება: ჩუხუა

მსაჯი: ფურსა (სანქტ-პეტერბურგი)

22 მაისს თბილისის „დინამომ“ სანქტ-პეტერბურგში, პეტროვსკის სტა...დიონზე, ვიქტორ ნბუტოვის თასზე „ზენიტთან“ ითამაშა. მასპინძლები „დი...ნამოს“ ძირითად შემადგენლობას ელო...დნენ, მაგრამ ჩვენი ჩემპიონი თასის ფი...ნალისთვის ემზადებოდა და პეტერ...ბურგს შემადგენლობა მიაკლინა. ...ამან მასპინძელთა მწვრთნელს სადი...რინს ხასიათი კი გაუფუჭა, მაგრამ სათა...მაშოდ მაინც ძირითადი შემადგენლობა ...გამოიყვანა. მატჩის დაწყებამდე მეტოქე...ებს ქალაქის მერი ანატოლი სობჩაკი მი...ესალმა.

ჩვენების თქმით, საგოლე მომენტები ...რომ არ გაგვცუდებოდა, შედეგი სხვა ...იქნებოდაო. 0:0-ზე ორჯერ გახოკიძემ ...და ერთხელ ტრაპაიძემ ვერ ივარგეს. ...აღსანიშნავია, რომ ამხანაგური თამა...შის კვლობაზე ძალიან ბევრი ყვითელი ...ბარათი ჩამორიგდა, მეორე ტაიმში კი ...მსაჯმა ჯუბა ჩუხუა სულაც მოედნიდან ...გაიძეა. აქვე ესაც ვთქვათ: პირველ ტა...იმში დანილოვი ისე უხეშად ეთამაშა ...ასლანიძეს, რომ მენისკი „აკიდა“. სტა...დიონზე მოსულმა 3 000-მა გულშემატ...კივარმა ორივე გუნდი კი ტაშით გაიცა...ლა, თუმცაღა იქაურები გულნატკენნი ...დარჩენილან — „ნამდვილი“ „დინამოს“ ...ნაცვლად მეორე შემადგენლობა ვნახე...თო. ასე იყო თუ ისე, თავად „დინამო-2“...ს ასეთი მატჩები ძალიანაც სჭირდება ...ცოდნა-გამოცდილების მისაღებად.

ავზეთია - მოსკოვი, დარასელია - ავსტრიაში

22 მაისს მოსკოვს გაემგზავრა ქუთა...ისის „ტორპედოს“ თავდამსხმელი მი...ხეილ აშვეთია. ამ ახალგაზრდა ფეხბუ...რთელის სახლვარგარეთულ ვოიაჟებზე ...ჩვენი მკითხველი მაქსიმალურადაა ინ...ფორმირებული. ბოლო ინფორმაციით ...მას „ბავშტა“ ელოდებოდა. მაგრამ, ...აი, კვლავ გაიღვიძა „სპარტაკის“ საქმემ, ...რომელიც ამ წლის დამდეგს „ტორპე...დოს“ ყოფილი მწვრთნელის რევაზ ბუ...რკაძის მონდომებით აგორდა. მაშინ აშ...ვეთია გასინჯვაზეც იმყოფებოდა მოს...კოვურ კლუბში და, მისი თქმით, იარცევ...ზე ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვა, ...თუმცა „სპარტაკის“ მწვრთნელმა ამ გა...ზაფხულზე „სარბიელთან“ ინტერვიუში ...მოკლედ მოჭრა: აშვეთია რომ მომწონ...ებოდა, დავიტოვებდიო. ვერ გეტყვით, ...ახლა რას ფიქრობს იარცევი, მაგრამ ...ბურკაძე, როგორც ჩანს, ძველებური ენ...თუზიაზმით ცდილობს ამ გარიგების ...მოკვარახჭინებას. ამაზე მეტყველებს ...მის მიერ აშვეთიასადმი გამოგზავნილი ...წერილიც, სადაც ფეხბურთელს მოსკო...ვში სასწრაფოდ ჩასვლას უთვლის. ჯერ ...არაფერია ცნობილი კონტრაქტის პი...რობებზე, მაგრამ ბურკაძის თქმით, სა...ქმის ბოლომდე მიყვანას აშვეთიას ხელ...მოწერაღა აკლია. რამდენად რეალურია ...წერილში ნათქვამი, ამას დრო გვიჩვე...ნებს. აშვეთიას აზრი კი ამ საკითხზე ...ასეთია: „როცა გეუბნებიან, შენ მოსკ...ოვის „სპარტაკს“ უნდიხარ და იქ ითამა...შებო, გიჟი უნდა იყო, რომ ამ წინად...ადებას გულგრილად შეხვდე.“

მოსკოვს გამგზავრებულა „სამტრე...დიის“ ცენტრალური ნახევარმცველი ...გიორგი დარასელიაც, იქიდან კი ავსტ...რიის „ლინცერში“ გასასინჯად წა...სვლას აპირებს. თუ „ძუკუ“ აქ არ ...დაიტოვეს მერე შესაძლოა, ბელგიასა და ...გერმანიაშიც მოუწიოს ბედის საძებრად ...გადასვლა.

მახტანგ ბზიკაძე

ახალი თასის ძველი მფლობელი

დინამო 1:0 ბათუმი

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 26 მაისი. 36 000 მაყურებელი

დინამო: ჭანტურია, კობიაშვილი, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (ცქიტიშვილი 106), ყიზილაშვილი, კერძევაძე, ანჩაბაძე (ინალიშვილი 56), იაშვილი (დემტრაძე 71)

ბათუმი: ტოგონიძე, შანიძე, ჩიქოვანი, ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი (კანტიძე 76), მ. მახარაძე, ღლონტი, ტუღუში, უჯმაჯურიძე, მუჯირი

1:0 ინალიშვილი (94)

გაფრთხილება: ლობჟანიძე, გოგიჩაშვილი, უჯმაჯურიძე

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

თამაშამდე

თამაშის დაწყების დრომ ბევრი მითქმა-მოთქმა წარმოშვა. ზოგიერთებს კი, ეტყობა, ისე ეგვიანათ, რომ რამდენიმე ვერსია წამოაყენეს. თუმცა თამაში დანიშნულ დროს დაიწყო და თუ ვინმე ნაადრევად მოვიდა სტადიონზე, დიდად არ მოწყენდა. აქეთ ახალი თასის (რომელიც, თურმე, იტალიაში კი არა, საბერძნეთში დაუმზადებია ერთ-ერთი იტალიური ფირმის ფილიალს) ჭვრეტით ერთობოდნენ, იქით უზარმაზარი კოკა-კოლა-ბურთის ცქერით, ზოგნი კი თავით ბურთის მკენწლავ გოდერძი მახარაძეს შემოსჯარვოდნენ და ვიდრე მოწყინდებოდათ, დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ. არადა, ინტერესს მართლაც იწვევდა ეს საოცარი ნებისყოფის ადამიანი, რადგან სტადიონის დიქტორს თუ ვენდობით, რომელსაც ხანდახან ეროვნული საკალათბურთო ფლეიოფი ამერიკულ ფლეიბოიში ერეოდა, იგი ორის ნახევრის შემდეგ, ვიდრე მატჩის დასრულებამდე, გაუზერებლივ კენწლავდა ბურთს.

ამასობაში გუნდებიც გამოვიდნენ მოედანზე სავარჯიშოდ და ეროვნული სტადიონის მუდმივ სტუმრებს უკვე შემდგენლობის დადგენაც შეეძლოთ. ოღონდ, ჯერ მასპინძლებისა და არა სტუმრების, როგორც ამას წესისამებრ ადგილობრივი ინფორმატორი აკეთებს ხოლმე. „დინამო“ ევროპულ ყაიდაზე, თამაშის დაწყებამდე თითქმის საათით ადრე გამოვიდა მინდორზე, გახურდა, შემდეგ გასახდელში შევიდა, საბოლოო მითითებები მიიღო და თამაშისთვის სულმოთქმული მოემზადა. ბათუმელებმა კი მოგვიანებით დაიწყეს ვარჯიში და თამაშს მინდორზეე შეხვდნენ. ეროვნულ ჯგუფს, რომელიც, ალბათ ტექნიკური მიზეზებით, ერთიანობა ძლივს ისმოდა, გუნდებმა ეროვნული დროშისკენ მიბრუნებულებმა მოუსმინეს. ამაზე ჟურადღებას იმად ვამახვილებ, რომ საერთაშორისო მატჩებისას იყო შემთხვევა, როცა უცხოელებმა ჰიმნისას ზურგი შეაქციეს სტადიონის მთავარ ტრიბუნას და საკუთარი ქვეყნის დროშისკენ იბრუნეს პირი, ქართველებმა კი პირიქით. თუმცა ამ შეხვედრისას, რაკი ეროვნული დროშა ყველასთვის ერთია, საუკეთესო ვარიანტი მოინახა და „ზურგის ბილეთი“ მხოლოდ ჩრდილოეთ ტრიბუნაზე მჯდომ მცირერიცხოვან მაყურებელს აღმოაჩნდა „ნაყიდი“. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თორემ ამ საყოველთაო ზეიმის დღეს, ისევე, როგორც სახელმწიფო ტრანსპორტი — მეტრო, ტროლეიბუსი — სტადიონზე შესვლაც უფასო გახლდათ და საყოველთაო ზეიმს მხოლოდ მზესუმზირის გამყიდველები უერთდებოდნენ, არა — სტადიონის კარისკაცები.

რა საჭიროა ფორა?

შეხვედრა „დინამოს“ ტერიტორიული უპირატესობით დაიწყო და მეტწილად ასეც გაგრძელდა. მოულოდნელი ეს, თავისთავად, სულაც არ იყო. ჯერ ერთი, „დინამომ“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სხვა გუნდებზე, სულ მცირე, ერთი თავით მაღლა დგას. მეორეც, მას გარკვეული ფორა, წინა ფინალების მსგავსად, ახლაც ჰქონდა. არა, მხოლოდ საკუთარი კედლების ფაქტორზე არ ვლაპარაკობ, რადგან „დინამოს“ ავტორიტეტი ისე დამთრგუნველად მოქმედებს სხვებზე, რომ მისი დამარცხება საკუთარ მოედანზეც უჭირთ. ესეც რომ არა, ყველა ნორმალურ ქვეყანაში, სადაც თასის მფლობელი ორ ფინალურ მატჩში არ ირკვევა, ფინალის ადგილს წინასწარ ადგენენ და წინასწარ, აბა, ვინ იცის, მაინცდამაინც დედაქალაქის გუნდი გავა ფინალში თუ არა. მაგრამ ასე სხვაგან ხდება, ჩვენთან კი, იოლი მისახვედრია, რომ ჩემპიონი თასისთვის ბოლომდე იბრძოლებს და ამისთვის თამაშს, ვთქვათ, ქუთაისში ან ლანჩხუთში ვინ დანიშნავს. აქ სულ სხვა ფორაზეა ლაპარაკი. ისეთზე, როგორიც ჯერ მხოლოდ ჩვენ მოგვფიქრდა და რიოლითაც ნაწილობრივ „ბათუმმაც“ ისარგებლა. აქამდე იმას ვამარობდით, რომ „დინამოს“ (არ ვიცი, როგორც თასის მფლობელს თუ ჩემპიონს, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს) პირდაპირ მეოთხედფინალიდან უშვებდნენ თასის გათამაშებაში, წელს კი „ბათუმი“ და „სამტრედია“, როგორც ევროტურნირის მონაწილენი, მერვედფინალიდან ჩადგნენ თასისთვის მებრძოლი გუნდების რიგში. ეს კი სხვა გუნდებს არათანაბარ პირობებში აყენებს, მითუმეტეს მაშინ, როცა თასსა და ჩემპიონატზე მიღებული სასჯელები საერთოა. მეორეც, ყოველივე წინასწარ ნათელს ხდის გათამაშების სიუჟეტს, ინტრიგას უკარგავს მას, რადგან ისედაც ძლიერი „დინამო“ 5 თამაშში კიდევ უფრო იოლად მიაღწევს მიზანს. რას მოგვცემს „ჭაბუკიანი“ — „დინამო“ ან სხვა წინასწარგაშფრული I ეტაპის მატჩი? ალბათ არაფერს, მაგრამ მაშინ ისიც ვთქვათ, რას მისცემს საფრანგეთს III დივიზიონელი „ნიმის“ თასების თასზე გასვლა? ძნელი არ იქნება იმის გახსენება, რომ ყვარლის „ფურუჯმა“ ერთადერთი ალალი ქული „საობილიჩოდ“ გამზადებულ „ბათუმთან“ მოიპოვა. ისარგებლა შემთხვევით და არ გაუშვა შანსი ხელიდან. რატომ ვუკარგავთ ასეთებს თუნდაც თეორიულ შანსს? რატომ არ ვაძლევთ მათ ქომაგებს საშუალებას, „დინამოს“ გაკვეთილები ცხადლივ იხილონ? თუმცა, ასე რომ ყოფილიყო, ასეთი, მარლაც ყველაზე დაბალი ფინალი, შეიძლება, არც გვნახა...

თავდასხმა — საუკეთესო თავდაცვა

პირველ ხუთ წუთში „დინამოს“ უპირატესობა აშკარა იყო. თავდანვე გამოიკვეთა ორივე გუნდის ტაქტიკა და სტრატეგია. გამოიკვეთნენ წყვილებიც და იოლი შესამჩნევი გახლდათ, რომ „ბათუმი“ პრესინგის თავსმოხვევას ცდილობდა. ასე განსაჯეთ, ივანე მახარაძე, რომელიც ამ დღეს მარცხნივ იყო გამწესებული, რამდენჯერმე მარჯვნივაც გადაყვა მეორე ფლანგზე გადასულ გოგიჩაიშვილს. ყიზილაშვილს შეყილაძე იჭერდა, იაშვილს შანიძე, უფრო წინანი კი, ჩვეულებრივ, ვისთანაც მოუხდებოდათ, მათთან თამაშობდნენ. „დინამომ“ ბევრად მეტი მომენტი შექმნა, ვიდრე „ბათუმმა“, თანაც მათი შეტევები უფრო სახიფათო იყო. ძნელი მისახვედრი არაა: მცველებისთვისაც და მეკარისთვისაც ისეთი მომენტი უფრო ძნელი განსაუხტია, როცა საჯარიმოში ხალხრავლობაა, ვიდრე ისეთი, როცა თავდასხმელი იბრძვის წინგადაგდებული ბურთისთვის, მას ორი თუ არა, ერთი მცველი მაინც ფეხდაფეხ მიჰყვება. ამ დროს მეკარისთვის უფრო იოლია ორიენტირება. ამიტომაც იყო, გელა ჭანტურიამ ბრწყინვალედ რომ ითამაშა და არც გამოსვლებზე, არც ხაზზე არცერთი შეცდომა არ დაუშვია.

ბათუმელთა ტაქტიკას — ყრუ დაცვასა და კონტრშეტევებზე სწრაფ გადასვლას „დინამომ“ უკეთესი კონტრილეთი დაუპირისპირა. იგი მთელი თამაშის მანძილზე, როგორც კი მომზადურთა შეტევას მოიგერიებდა, იერიშზე გადადიოდა და ამას უფრო სწრაფად აკეთებდა, ვიდრე იგივეს „ბათუმი“. თუმცა მათი შეტევები ხშირ შემთხვევაში საჯარიმოს მისადგომებთან მთავრდებოდა, რადგან თბილისელები იშვიათად იყენებდნენ ფლანგურ გარღვევებსა და ჩაწოდებებს. ალბათ, სწორედ ამიტომ გახლდათ დავით ყიფიანი კახი გოგიჩაშვილის თამაშით უკმაყოფილო, თუმცა კი, იგი ყველაზე მეტად ჩანდა „დინამოს“ თამაშში. სწორედ მან შეუქმნა პირველი ხიფათი ბათუმელთა კარს და რომ არა ნიკა ტოგონიძის საოცარი რეაქცია და თავგანწირვა, ანგარიში მე-10 წუთზევე გაიხსნებოდა. 6 წუთში „ბათუმმაც“ სახიფათოდ შეუტია, მაგრამ ღლონტმა ვერ გამოიყენა ის, რომ კობიაშვილს ფეხი დუსხლტა, ბურთი უკან, უჯმაჯურიძისკენ შემოაბრუნა, მისი დარტყმა კი მცველებმა მოიგერიეს. ამის შემდეგ კობიაშვილმა სცადა შორიდან შემოწმებინა მეკარის მზადყოფნა, მაგრამ დარტყმა უნეირო, სუსტი გამოუვიდა. მანამდე კი ანჩაბაძის მიერ საჯარიმოში მახვილგონივრულად შეგდებული ბურთი შეყილაძემ გამოიტანა.

II ტაიმში თამაში უფრო გამწვავდა. „ბათუმმაც“ ბევრჯერ უჩხვლიტა „დინამოს“ და ამ უკანასკნელმაც არანაკლებ პირველს. ერთ რამედ ღირდა თორლაშვილის გრძელი პასი 52-ე წუთზე ტუღუშის მისამართით, რომელზეც დროულად გამოვიდა ჭანტურია და წამით აჯობა თავდამსხმელს. ალბათ გეხამუშათ ბათუმელთა ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეზე ნათქვამი ეს სიტყვა, მაგრამ საქმე ისაა, რომ „ტუხა“ უფრო ფორვარდივით ირჯებოდა, ვიდრე გამთამაშებელივით, რადგან უჯმაჯურიძეს ამ დღეს გვერდით არ ჰყავდა მაჭუტაძე. და დამბმარეს ნამდვილად საჭიროებდა. მთელი თამაშის მანძილზე ბათუმელთა უფრო გამოკვეთილმა ფორვარდმა ვერცერთხელ შეძლო „დინამოს“ ქომაგთა ანერვიულება. იგი უჩვეულოდ უილაჯოდ და უფერულად თამაშობდა.

58-ე წუთზე „დინამომ“ ვერ გამოიყენა კარგი მომენტი, რიცა იაშვილის პასით ინალიშვილის დარტყმული მეკარეს აიღო, 66-ე წუთზე კი თორლაშვილმა გაუშვა ხელიდან ანგარიშის გახსნის შანსი, როცა ტუღუშის „სამგიერო“ პასით მეკარესთან გასულმა წაქცეულ კარის დარაჯს ფეხებში გაარტყა.

თამაშმა მეტი ინტერესი მას შემდეგ შეიძინა, რაც გუნდებმა „ახალი სისხლი“ გადაისხეს. „დინამომ“ ინალიშვილი და დემეტრაძე გამოიყვანა, „ბათუმმა“ — კანტიძე. ძირითადი დროის ყველაზე რეალური მომენტი გოგიჩაშვილმა შექმნა, მაგრამ მისი დარტყმა ძელმა მოიგერია. ბათუმელთაგან კი, II ტაიმის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, ყველაზე სახიფათოდ ღლონტმა დაარტყა. მგონი, მისი მოწყვეტილი დარტყმა კარს სცდებოდა, მაგრამ ჭანტურიას თავგანწირულმა ნახტომმა ეს მომენტი ძლიერ გაალამაზა.

მონდა ის, რაზეც 1990-ის ფინალის შემდეგ არავის უფიქრია — საჭირო გახდა დამატებითი დრო. სწორედ აქ ისარგებლა უფრო ხალასმა ინალიშვილმა ჩიქოვანის შეცდომით და მცველის მიერ მოგერიებულ ბურთს მარცხენათი უძლიერესად დაჰკრა. ამით მან წყალში ჩაჰყარა ბათუმელი მცველების რამდენიმეგზის გამოჩენილი გაუვალობა და გამაყუჩებლით მოთამაშე ნეკნგაბზარული ტოგონიძის თვითგვემა.

107-ე წუთზე ინალიშვილს კიდევ ერთხელ შეეძლო თანგუნდელებისთვის სიხარულის მოგვრა, თუმცა მისი დარტყმა ძელმა მოიგერია, განმეორებითი, ყიზილაშვილისა კი — ხარიხამ.

თამაშის მიწურულს „ბათუმმა“ საქმის პენალტებამდე მიყვანა სცადეს, სადაც ტოგონიძის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ვანო მახარაძეს და ტუღუშს ძალა და ეშმაკობა არ ეყოთ და გამარჯვებული გაიკვა.

სოლიდური ცვლემონიალი

შეხვედრის დამთავრებისთანავე, როცა გუნდებმა თავთავიანთ ქომაგებს მადლობა გადუხადეს, მოხდა ის, რაც აქამდე ცხადლივ არ გვნახა.

დამარცხებულნი ფინალისტის მედლებით დაჯილდოვეს, გამარჯვებულნი კი მედლებითა და თასით. ალაფი თავად ქვეყნის პრეზიდენტმა გადასცა „დინამოს“ გუნდისთავს მაჭავარიანს და ამ უშეღავათო ბრძოლით დაღდასმულ ფინალს კიდევ უფრო სოლიდური ელფერი შესძინა. უკვე მერამდენედ, ედუარდ შევარდნაძე 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე მოდის, მაგრამ თასის გადაცემის ცერემონიალში მონაწილეობის პატივი მასაც და გამარჯვებულსაც პირველად ერგო. არადა, ასე უფროა წესად ბევრგან.

ვახტანგ ბზიკაძე

ბადრი კეთილაძის ფოტოები

მატჩის მერე

თამაშისა და თასის ფინალისთვის ჩვეული ცერემონიალის მერე კახა გოგიჩაიშვილი ერთდროულად დაღლილიც იყო და ბედნიერიც...

— ჩემს მიერ მოპოვებული ტიტულების ნუსხაში თასი მაკლდა და ისიც მივითვალე. ახლა შემიძლია დანარჩენებზეც ვიფიქრო.

— „დინამოს“ მონაწილეობით გამართულ არცერთ ფინალს დამატებითი დრო არ დასჭირვებია. რატომ გაგიჭირდათ ასე?

— ძალიან შემცდარა, ვინც ფიქრობს, რომ „ბათუმი“ სუსტი გუნდია. პირიქით, მათ ძალზე სოლიდურად ითამაშეს და ერთი-ორჯერ საკმაოდ მწარედაც გვიკბინეს. ბათუმელები კარგად გამოიყურებოდნენ დაცვაში, თან ტოგონიძე საიმედოდ იცავდა კარს. ნიკამ თავისი გუნდი ორსამჯერ აშკარა გოლს გადარჩინა. ჩვენ ვუტევდით, მთელი თამაში უპირატესობა გვქონდა, მაგრამ ჩვენს თამაშს ალბათ დამატებით დროში მივაგენით და გოლიც გავტანეთ. ისე, ჩემპიონატის მატჩებში ასეთი თავგანწირული ბრძოლა ჯერ არ ყოფილა. როცა ყველაფერი დამთავრდა, მაშინ ვიგრძენი, რომ საშინლად დავიღალე.

ბათუმელი **ამირან მუჯირი** გასახდელიდან ერთბარად გამოვიდა, დაღლაც აშკარად მოსძალებოდა და კითხვებზეც ლამის ატირებული გვპასუხობდა:

— მისზალი ბედი არ გვაქვს. კარგად დავიწყეთ, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ. ყველა დაგვთანხმება იმაში, რომ ძალ-ღონე არ დაგვიზოგავს, მაგრამ ძლიერმა გაიმარჯვა. ამ ჯერზეც ვერ შევძელით თბილისელების გაჩერება. ისე, 0:1-ზე კი გვქონდა შანსი: ივანე მახარაძეს რომ გაეტანა, ვინ იცის, რა მოხდებოდა, მაგრამ ვერც ჭანტურიას დიდებული თამაშს უგულვებელყოფ.

— შენი თამაშით თუ ხარ კმაყოფილი?

— არა. უკეთ შემეძლო თამაში, მაგრამ რატომღაც ვერ შევძელი. ალბათ იმანაც შეშიშალა ხელი, რომ თამაშის დასაწყისში ფეხი ვიტკინე. ამ ტრავმებმა ხომ გაგაწამეს. მოკლედ, დღეს ჩვენი დღე არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, თამაშში მთელი სული და გული ჩავაქსოვეთ. საბოლოოდ კი ამას ვიტყვი: ჩინებული ფინალი გამოვიდა.

ბათუმელთა მეკარე **ნიკა ტოგონიძე** ჯერაც ტრავმამოშუშებული იდგა კარში, მაგრამ ჩინებულადაც ითამაშა და ყველასაც დაუმტკიცა, რომ ჩივაძეს ნაკრებში ტყუილად არ მიუწვევია.

— მართალია, ნეკნი ახლაც გაბზარული მაქვს, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ შეხვედრის წინ მაინც ჩემი დაყენება გადწყვიტა. ეს უფრო ფსიქოლოგიური გათვლა იყო: ბევრი ტრავმირებული გვყავდა და მათ რომ კიდევ ერთი დამატებოდა, ეს „დინამოს“ კიდევ უფრო გაამხნევებდა. გამაყუჩებლით ვთამაშობდი, პირველი ტაიმის მერეც ნემსი გამიკეთეს, მოკლედ, ძალიან გამიჭირდა — გაძლებაზე ვიყავი. როდესაც გოლი გაგვიტანეს, ინალიშვილმა საწინააღმდეგო მოძრაობაზე დამიჭირა. ისე, გოლი ძალიან ლამაზი იყო და გელა ტაშის ღირსია.

ორიოდ სიტყვა კაპიტნებმაც შეგვაწიეს.

მალხაზ მახარაძე: მეტი ჟურადღება და სიზუსტე რომ გამოგვეჩინა, ვფიქრობ, მოგებაც შეგვეძლო. თუმცა, ამით მეტოქის გამარჯვებას არ ვაკნინებ. რა თქმა უნდა, თბილისელებს მეტი საგოლე მომენტი ჰქონდათ, თანაც დამატებით დროში ფიზიკურადაც გვჯობენ და თასიც ალალად მოიპოვეს.

მაშუკა მაჭავარიანი: ძალიან ძნელი მატჩი მოვიგეთ. მე მგონი, მაყურებელს სიამოვნებაც მივანიჭეთ და ეს ბათუმელთა დამსახურებაც არის — მათ გამარჯვებისთვის თავი არ დაუზოგავთ. და მაინც, დღეს უფრო ძლიერმა გაიმარჯვა.

პრეს-კონფერენციიდან

ეროვნული ლოტერეა

— პირველ ოფიციალურ ჩემს კოლეგას და „დინამოს“ გულშემატკივრებს დუბლის გაკეთებას. ვულოცავ ყველას დღეკვანდელ დღესასწაულს. თამაშს რაც შეეხება, „დინამოს“ დიდი უპირატესობა ჰქონდა და მატჩის შედეგი სავსებით ლოგიკურია. ჩვენ გვაკლდა ბევრი ისეთი ფეხბურთელი, რომელთა არყოფნამ თამაშის ტაქტიკურ მონახაზში ცვლილება შეიტანა. მათ ბევრი რამის გაკეთება შეეძლოთ ამ თამაშის წარმატებით დასამთავრებლად. ჩვენ ჩვენს მიზანს მივაღწიეთ და ახლა ევროპა გველოდება. იქედან, იქ უფრო გამოვიჩენთ თავს

ბათუმის მწვრთნელს სიტყვა დავით ყიფიანმა ჩამოართვა:

— ალბათ დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ ასეთი დამაბული თასის ფინალი 90 წლიდან მოყოლებული არ ყოფილა. ეს ასეც უნდა იყოს. მაყურებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვა სტადიონზე, თუ უშეღავათო ბრძოლა ელოდება.

მოულოდნელი იყო „ბათუმის“ დღევანდელი თამაში. არა, ჩვენ ვიცნობთ ამ გუნდს და მისგან ბევრს ველოდით, მაგრამ ასეთ შემართებას — არა. გასაოცარი იყო ბათუმელთა ფიზიკური კონდიციები: „დინამოს“ ხომ ვერცერთი გუნდი II ტაიმში ვერ უძლებს. მე კმაყოფილი ვარ, რომ თასი მოვიპოვეთ, მაგრამ კიდევ უფრო კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ დღეს დამარცხებულიც და გამარჯვებულიც საქებ სიტყვებს იმსახურებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „დინამო“ ამ სეზონში არავისთან წასულა კომპრომისზე. ამ გუნდში ახლა გამოცდილებიც თამაშობენ, მაგრამ მეტი ყურადღება და სტიმული უნდა ჰქონდეთ ახალგაზრდებს. ისინი ამას იმსახურებენ. სწორედ ისეთ თამაშებში უნდა გაიზარდონ ეს ბიჭები, როგორიც დღეს იყო.

— ჩვენ მოვლაპარაკეთ „ბათუმის“ ხელმძღვანელობას იმის თაობაზე, რომ დღევანდელ შეხვედრაზე დასწრება უფასო ყოფილიყო. თუ გავითვალისწინებთ გუნდების მძიმე ფინანსურ მდგომარეობას, ეს აღსანიშნავი ნაბიჯი იყო. თუმცა, ეს ისთვის არ გაკეთებულა, რომ სტადიონზე მეტი ხალხი მოსულიყო. ხალხი რამდენიც მოვიდა, მაინც იმდენი მოვიდოდა. უბრალოდ, ჩვენ საზეიმოდ გავუკეთეთ გულშემატკივრებს.

— ჩვენ ბათუმელებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ საქართველო ახლა 28-ე ადგილზეა უეფას კოეფიციენტით. მათ რომ შარშან ერთი წრე დასძლიეს, ეს იმის დასახურებაა. ახლა უკვე საკმარისია, რამდენიმე გუნდმა ერთი-ორი წრე გაიაროს და შესაძლებელია, ჩემპიონთა ლიგაშიც მოვხვდეთ. არადა, რა სკოლაა ჩემპიონთა ლიგა, ყველამ კარგად ვიცით.

— რაც შეეხება მსაჯობას, აქ იყო მცირე შეცდომები, მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. ლაცაბიძეს მინდა მივულოცო, რომ მძიმე დავალებას თავი კარგად გაართვა.

— ჩვენ მხოლოდ ერთი შეცვლა გამოვიყენეთ და ეს იმით იყო განპირობებული, რომ თორლაშვილმა თავისი ძლიერი მხარეები — დასარტყმელ პოზიციაზე გასვლა და შორეული დარტყმები ვერ გამოიყენა. რაც შეეხება დანარჩენ შეცვლებს, მათი გამოუყენებლობის მიზეზი ის გახლდათ, რომ სათანადო შემცვლელები არ გყოფნდა. ჩვენ ოთხკაცი დაგვემტვრა და იძულებულები ვიყავით, ამ შეხვედრაში მინდაძის ნაცვლად მარცხენა ფლანგზე ივანე მახარაძე გვეთამაშებინა. მისი თამაშით არც ისე უკმაყოფილნი ვართ.

— ჯგუფური ართმევის ელემენტებმა, რომელიც დღეს „დინამოს“ თამაშში შეინიშნებოდა, ჩვენ ვარჯიშებზე ვხვეწდით, რადგან ველოდით „ბათუმისგან“ ასეთ ტაქტიკას და ისიც ვიცოდით, რომ თუ „ბათუმს“ ბურთის კონტროლის საშუალებას მივცემდით, მერე ძნელი იქნებოდა მათთან ბრძოლა.

— ის, რომ შარშანაც და წელსაც შეცვლაზე შემოსულებმა ღემეტრაძემ და ინალიშვილმა გაიტანეს გამარჯვების გოლები, თუ გნებავთ, შემთხვევითობას მიაწერეთ. მე კი თამაშამდე მქონდა გელასთან საუბარი და ვუთხარი: დადგება ისეთი მომენტი, როცა შენი შესვლა საჭირო გახდება. მან გამოცდილებით შესძლო ცვლილებების შეტანა, თორემ ბათუმელთა რიგებში გამოსულმა კანტიძემ თამაში აწყო.

— დიახ, კანტიძის გამოყვანა ჩვენი კომბინაციის შეცვლა იყო ინალიშვილის შემოსვლის ზე.

— ასე რომ, მწვრთნელებს შორის, მ. მგონი, ფრედ დამთავრდა პაექრობა.

— „ბათუმი“ თასების თასზე ისაპარეზ... და, ბუნებრივია, გუნდი უნდა შეხალისდეს. თითო კაცი ყველა რგოლშია საჭირო.

მიხეილ იოგბი...

ინგლისის პოლიტიკური ტურნე აზიაში

ჰონკონგი 0:1 ინგლისი

ჰონკონგი: ჰესფორდი, ვან დერ სანდერი (ლიუნგი 80), დაქსბარი, უოტსონი, ფუკ ვინგი, ფეარვეზარი, გრეინგერი, რობერტსი, ბალენი, გრებო, ბაიკუსა (ჰენგი 76)

ინგლისი: სიმენი, ფ. ნევილი, ჰოუი (კემბელი 59), ადამსი, პირსი, სტოუნი (ანდერტონი 62), ინსი, პლატი, მაკმანამანი (ვილკოქსი 79), შერინგემი (ფაულერი 71), ფურდინანდი (შირერი 46)

ჩინეთი 0:3 ინგლისი

ჩინეთი: ქულიანგი, ზონგი, ქუნი, ჯ. ფენგი (ჯანგბუნი 34), ზიუი, იუხინგი (ლინგი 46), ბინგი (ფეიგუო 46), მინგუი, პონგკუნი, გ. ფენგი, ჰაიდონგი

ინგლისი: ფლაუერსი (უოქერი 64), გნევილი, ადამსი (ეპიოგუ 76), საუთგეიტი, ფ. ნევილი, ანდერტონი, რედნეპი, გესქოინი, მაკმანამანი, ბარმბი (ბერდსლი 72), შირერი (ფაულერი 72)

ჰეკინის მეშათა სტადიონზე ინგლისმა ლაღად ითამაშა. ეს ის თამაში იყო, გუნდს ყველაფერი რომ გამოუდის. თანაც, სტუმრებს ჰყავდათ პოლ გესქოინი, კაცი, რომელმაც თავისიანებს სული შთაბერა. გესქოინმა ტონი ადამსის და გარეთ საუთგეიტის წინ დაიკავა პოზიცია და შეტევა შეტევას მიაყოლა. იგი გუნდის სული და გული იყო, ცვლიდა შეტევათა მიმართულებებს, თამაშის რიტმს, ტემპს, აწვდიდა სახიფათო პასებს და თავადაც არტყამდა მი-

პოლ გესქოინი

ხი პასებით ალან შირერმა და ნიკი ბარმბიმ ლამის შეაგდეს, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ ივარგა. შემდეგ ერთი საჯარიმო ჩინელებმაც შეასრულეს ისე, რომ სტუმრები აოფორიაქეს, თუმცა ამ ეპიზოდს მეისვე მოჰყვა საპასუხო შეტევა და ინგლისელთა გოლი: ანდერტონმა, ხშირად ხეირიან პოზიციას რომ ვერ ირჩევდა, მოულოდნელად ბარმბი კარგ პოზიციაზე გაიყვანა. ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, მაგრამ ბარმბიმ იყოლია და მაინც შეაგდო. აღსანიშნავია, რომ მშვენივრად თამაშობდა მასპინძელთა გამოამაშებელი ჰაიდონგიც, მაგრამ მას თანაგუნდელები ვერ აყვნენ. მეორე ტაიმის მე-8 წუთზე გესქოინმა ანგარიში გაზარდა: გერი ნევილმა ანდერტონს მიაწოდა, ანდერტონმა გაზას, ამან კი 2:0 გახადა. სიტყვამ მოიტანა და, იმ დღეს ძლები გერი და ფილ ნევილები ერთად იყვნენ მოედანზე, ინგლისის ნაკრებში კი ძმებს ჯეკ და ბობი ჩარლტონების შემდეგ არ უთამაშიათ. მესამე გოლი კი სტუმრებმა ასე შეაგდეს: გაზამ ბარმბის დიაგონალური გაქცევა აცალა და მიაწოდა, ხოლო ბარმბიმ საგოლე დარტყმა აუღელვებლად შეასრულა. აქ, გუნდთან ერთად ჩინეთის ნასული ალბიონელი ქომაგები ისე გალაღდნენ, რომ მასპინძლების მონოტონური და საშინელი საყვირის ხმა გადფარეს, ტერი ვენეიბლზი კი დარწმუნდა, რომ მისი 3-5-1-1, თუ მეტოქეს ორი კარგი თავდასხმელი ჰყავს, 4-4-1-1-ში უმტკივნეულოდ გადადის და უგო ეპიოგუს დებიუტი ანდო.

პაპუნა კედია

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისის შრომის დეპარტამენტმა სამხრეთაფრიკელ- ფილ მასინგას უარი უთხრა „ლიდს იუნაიტედში" თამაშის ახალ ნებართვაზე. მასინგამ გასულ სეზონში მხოლოდ 11 შეხვედრა ჩაატარა. რაც შეეხება „ლიდის" კიდევ ერთ სამხრეთაფრიკელ ლუკას რადფორდისა და განელ ტონი იებოას, მათ დეპარტამენტმა პრობლემები აღარ შეუქმნა.

კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელმა ერნან დარიო გომესმა თავის ისედაც ასაკოვან გუნდს კიდევ ერთი ვეტერანი დამატა. ესაა მარჩენა მცველი ლუის ერერა, რომელიც 34 წლისაა და ნაკრებში 50-ჯერ უთამაშია. წინა თამაშთან შედარებით (კოლუმბია — პარაგვაი 1:0) ამ ერთადერთი ცვლილებით გომესი 2 ივნისს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში პერუსთან სათამაშოდ ემზადება. მანამდე კი, ხვალ, გასახურებლად, შოტლანდიას შეხვდება. რაც შეეხება პერუს, მან შესარჩევი ციკლი ეკვადორში 1:4-ით დაიწყო.

იტალიაში, რომში უეფას აღმასკომმა იმსჯელა და დაადგინა, რომ მომავალი სეზონიდან უცხოელთა ლიმიტი გაუქმებულია. საუბარია არა მხოლოდ ევროკავშირელებზე, არამედ ნებისმიერ უცხოელზე. ამრიგად, თუ ისურვა, ესა თუ ის გუნდი მოედანზე თერთმეტი ლეგიონერით გავა.

იტალიაშივე, ტურინში ავტოგარაჟში მოჰყვა წინა კვირის ჩემპიონთა თასის ფინალის ერთ-ერთი გმირი მორენო ტორიჩელი. ქალაქის ცენტრში მისი მანქანა მეორეს შეეჯახა და გადაყირავა. ორივე მძღოლი შეშინდა, მაგრამ არ დაშავებულან.

ესპანეთის ნაკრებს ტრავმამ გამოაკლო „ბარსელონას" მცველი არბერტ ფერერი. ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანთა სიაში იგი მადრიდის „ატლეტიკოს" ხუან ლოპესმა შეცვალა. ფერერი 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონია.

ბრაზილიელთაგან ჰაცი ყველაფერს უნდა ელოდოს. რიო დე ჟანეიროს ჩემპიონატის შეხვედრაში „ვასკუ დე გამას" და „ვოლტა რედონდას" მწვრთნელები კარგა ხანს ვერ შეთანხმდნენ, სათადარიგოთა რიგულ სკამზე რომელი გუნდი დამჯდარიყო, რის გამოც თამაშის დაწყება დაგვიანდა. ოფიციალურად მასპინძელი „ვოლტა რედონდა" იყო, მაგრამ ვინაიდან საკუთარი სტადიონი მოუმზადებელი ჰქონდა, შეხვედრა ნეიტრალურზე დაინიშნა. ამიტომაც ორივე გუნდმა, მასპინძელთა მხარე ჩემიაო, აიჩემა. თამაში „ვასკუ დე გამამ" 1:0 მოიგო. საინტერესო ისიც გახლდათ, რომ მოგებულთა ნახევარმცველი ნელსონი მოედნიდან გაადგეს. მას ერთი ყვითელი უკვე მიღებული ჰქონდა, როცა მეტოქეს დაეძგერა და თან ისე, რომ თვითონ გაიტეხა მუხლი. ნელსონმა გონება დაკარგა, საკაცეზე მწოლიარეს კი მსაჯი გამოუდგა და წითელი აუფრიალა.

ბელგიის ლიგის თასი მოიპოვა ჩემპიონმა „ბრიუგემ". მან თანაქალაქელ „სერკლ ბრიუგეს" 2:1 მოუგო. მოგებულთაგან ორივე გოლი ხორვატთა ნაკრების მოთამაშემ მარიო სანტიჩმა გაიტანა. ამ ტიტულს „ბრიუგე" მეშვიდედ დაეუფლა.

უელსის ნაკრების მოთამაშე დინ სონდერსი- „გალათასარაიდან" „ვესტ ჰემში" გადადის. სტამბოლელთა თქმით, მათ ამ ვაჭრობით 1,51 მილიონი დოლარი მიიღეს. სონდერსმა თურქეთში ერთი სეზონი გაატარა და „ფენერბაჰჩეს" წინააღმდეგ, თასის ფინალში (ორი შეხვედრის ჯამში „გალათასარაიმ" 2:1 მოიგო) გოლიც გაიტანა.

იტალიელი ვარსკვლავი, 32 წლის ჯანლუკა ვიალი, წინა ოთხშაბათს ჩემპიონთა თასი რომ მოიპოვა, „იუვენტუსიდან" ლონდონის „ჩელსიში" გადადის. კონტრაქტის ფინანსურ დეტალებზე ოფიციალურად არაფერია ცნობილი, ვადა კი სამწლიანია. ვიალის ლონდონელ ქომაგებს 17 ივნისს წარუდგენენ. მისი „ჩელსიში" გადასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ გუნდის მოთამაშე-მწვრთნელი რუუდ გულიტია, რომელსაც ვიალი კარგა ხანია იცნობს. ამბობენ, იტალიელს ლონდონში წელიწადში მილიონნახევარ დოლარს მისცემენო. ამ თანხაზე მეტს მას „გლაზგო რეინჯერსი" სთავაზობდა, მაგრამ-ფეხბურთელმა იუარა. ჯანლუკა ვიალი ორჯერ იყო იტალიის ჩემპიონი, სამჯერ თასის მფლობელი, ევროთასებიდან კი სამივეს ფლობდა — 1990 წელს „სამპდორიაში" თასების თასს, 1993 წელს „იუვენტუსში" უეფას თასს და 1996 წელს „იუვენტუსში" ჩემპიონთა თასს.

შვედეთის ნაკრების თავდამსხმელი მარტინ დალინი მიონხენგლადახის „ბორუსიიდან" „რომაში" გადადის. გარიგება 5,5 მილიონ გერმანულ მარკადაა შეფასებული. დალინი „რომაში" სამ სეზონს ითამაშებს და წლიურად 600 ათას დოლარს მიიღებს.

ბანამ აფრიკის კონტინენტის ყველა ვარსკვლავთა გუნდს 3:1 მოუგო. გოლები გაიტანეს ტონი ტიეკუმ (38, 82) და მაიორ ამოამ (75) განელთაგან, ტონი იებოამ — ვარსკვლავთაგან. შემოსავალი გადაურიცხეს სპილოს ძვლის ნაპირელ მორაგბეს მაქს ბრიტოს, რომელიც შარშან ზაფხულს რაგბის მსოფლიო თასზე მიღებულმა ტრავმამ ლოგინს მიაჯაჭვა.

საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ხელს მოაწერს კონტრაქტს „იუვენტუსთან". ზიდანის კერპი მიშელ პლატინი ყოფილა და ექს-ბორდოელი ბედნიერია, რომ ამავე კლუბში გადავა, სადაც პლატინი თამაშობდა. ზიდანის შეძენა „იუვეს" გარდა ბევრ სხვა კლუბსაც სურდა, მათ რიცხვში — „პარი სენ-ჟერმენს". ამრიგად, მომავალი სეზონიდან 24 წლის ნახევარმცველი ტურინის გუნდში თანამემამულე დიდიე დეშამპს შეუერთდება.

გერმანიის თასი მოიპოვა „კაიზერსლაუტერნმა", რომელმაც ფინალში „კარლსრუეს" 1:0 მოუგო. „კაიზერსლაუტერნი" ახლახანს გავარდა ბუნდესლიგიდან. ასე რომ სექტემბრიდან თასების თასზე გერმანიას მეორებუნდესლიგელი წარმომადგენელი ეყოლება. გამარჯვებულმა, ფინალის ბოლო 18 წუთი 10 ფეხბურთელით ითამაშა, რადგან მეორე ყვითლის მიღებით ანდრეას ბრემემ დასტოვა მოედანი. თამაშის ერთადერთი გოლი 42-ე წუთზე ჯარიმიდან მარტინ ვაგნერმა გაიტანა.

პორტუგალიის ნაკრების წევრმა ფერნანდო კოუტუმ განაცხადა, რომ „პარმადან" „გლაზგო რეინჯერსში" თავისი გადასვლა-არგადასვლის შესახებ ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ განაცხადებს. ბრიტანული პრესა იუწყება, რომ „რეინჯერსი" „პარმას" კოუტუში 4,2 მილიონ დოლარს უხდის. 26 წლის პორტუგალიელს წესით კიდევ ერთი სეზონი აქვს იტალიაში სათამაშო.

არგენტინის ნაკრებში თამაშით ცნობილმა ოსკარ რუჯერომ თავის „სან ლორენცოს" სტუმრად „რივერ პლეიტთან" 1:1 კი გაახერხებინა, მაგრამ ჯამში მისი გუნდი 2:3 დამარცხდა და კოპა ლიბერტადორესის ნახევარფინალში ვერ გავიდა. 34 წლის რუჯერომ 81-ე წუთზე თაურით გაქვითა ანგარიში (პირველად 55-ზე „რივერ პლეიტის" ერნან კრესპომ გაიტანა), სულ ბოლოს კი მეორის გატანაც შეეძლო, მაგრამ თაურითვე ძელს მოახვედრა. ამ შეხვედრის 70-ე წუთზე მოედანზე ახალშესული „რივერ პლეიტის" მარსელო გალარდო გააძევეს მოედნიდან. მან მოკლე დროში ჯარიმისას გაჯიუტებისა და ცხრა მეტრზე არდაწევის და ხელით თამაშისთვის ორი ყვითელი მიიღო. მოედნიდან გააძევეს „სან ლორენცოს" დამიან მანუსოვიჩიც, რომელმაც ცნობილი ენცო ფრანჩესკოლი წაჭცა. „რივერ პლეიტის" გარდა ნახევარფინალში გზა გაიკვლიეს კოლუმბიის „ამერიკამ" და ჩილეს „უნივერსიდად დე ჩილემ". მეოთხე გუნდის ვინაობა დღეს „კორინთიანსის" და „გრემიოს" მატჩში გაირკვევა. პორტალეგრეში „გრემიოს" 3:0 მოიგო.

იტალიაში — ეუფამ იმსჯელა ჩემპიონთა ლიგის მომავალი სეზონი. [illegible] ილება [illegible] ასეთია: თასის გათამაშებაში უნდა დაუშვან ყველა ევროპული ქვეყნის ჩემპიონი (შესაძლოა, უელსის გარდა). რვა უძლიერესი პირდაპირ ჯგუფებში განთავსება და დანარჩენებს დაელოდება. 32 ქვეყნის ჩემპიონისთვის ივლისში გაიმართება წინასწარი ეტაპი. აქ გამარჯვებული 16, აგვისტოში შეხვდება კიდევ 16-ს, რომლებიც რეიტინგის თანახმად ივლისის ტურისგან თავსუფალნი იყვნენ, და გაარკვევენ იმ 16 გუნდს, რომლებიც ჯგუფებში 8 უძლიერესს შეუერთდებიან. უეფა არც იმას გამორიცხავს, რომ შეჯიბრების ხარისხის ასაწევად, უძლიერეს 8 გუნდში აუცილებლად ჩემპიონები კი არა, რეიტინგით უძლიერესები შეიყვანოს. ამ იდეას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მათ რიცხვში ფიფა. საბოლოო გადწყვეტილების მიღებას აგვისტოში ვარაუდობენ.

იტალიის ნაკრების ინგლისში წასაყვანთა სიაში ცვლილებაა. მწვრთნელმა არიგო საკიმ ვეტერან ანტონიო კონტეს ნაცვლად გამოიძახა დებიუტანტი ფაბიო როსიტო. როსიტო 25 წლისაა და „უდინეზეში" თამაშობს. რაც შეეხება ანტონიო კონტეს, იგი ჩემპიონთა თასის ფინალში დაშავდა.

აშშ-ის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში უმასპინძლა შოტლანდიას და მოუგო 2:1. ანგარიში მე-9 წუთზე შოტლანდიელმა დიურიმ გახსნა, მაგრამ მე-13-ზე ვინალდამ პენალტით გაქვითა, 72-ზე კი კობი ჯოუნზმა გამარჯვებისა შეაგდო.

ესპანეთი

42-ე, ბოლო ტური. სანტანდერი — სოსიედადი 2:3; ატლეტიკო — ალბასეტე 2:0; ხიხონი — ტენერიფე 0:2; სევილია — სალამანკა 3:1; ესპანიოლი — კომპოსტელა 0:0; სელტა — ვალენსია 1:1; დეპორტივო — ბარსელონა 2:2; ვალიადოლიდი — ბეტისი 3:1; მერიდა — ოვიედო 3:1; სარაგოსა — რეალი 0:1; ატლეტიკი — რაიო ვალეკანო 3:1

ატლეტიკო	42	26	9	7	75:32	87
ვალენსია	42	26	5	11	77:51	83
ბარსელონა	42	22	14	6	72:39	80
ესპანიოლი	42	20	14	8	63:36	74
ტენერიფე	42	20	12	10	71:52	72
რეალი	42	20	10	12	75:51	70
სოსიედადი	42	17	12	13	62:53	63
ბეტისი	42	16	14	12	61:54	62
დეპორტივო	42	16	13	13	63:44	61
კომპოსტელა	42	17	8	17	47:54	59
სელტა	42	12	16	14	49:51	52
სარაგოსა	42	11	15	16	51:59	48
ატლეტიკი	42	11	15	16	44:55	48
სევილია	42	11	15	16	43:55	48
ოვიედო	42	12	12	18	48:67	48
ვალიადოლიდი	42	11	14	17	57:62	47
სანტანდერი	42	11	14	17	47:69	47
ხიხონი	42	13	7	22	51:60	46
ვალეკანო	42	12	8	22	47:75	44
მერიდა	42	10	12	20	37:62	42
ალბასეტე	42	10	12	20	55:81	42
სალამანკა	42	8	9	25	54:81	33

კულტურის ცენტრი „ჟაზბები"

გიწვევთ
ევროპის ჩემპიონატის მატჩების
დიდ ეკრანზე სანახავად!

მისამართი:
ბაშიძის №26 (ყოფილი ბარნოვის №128)
ტელ: 294904

27 მაისიდან – 2 ივნისამდე

კინოთეატრი „ივერია"

(რესპუბლიკის მოედანი, მეგრო „რუსთაველი")

გიწვევთ პრემიერაზე

სათავგადასავლო დეტექტივის

„დალიანი"

(აშშ, 1996 წ.)

მთავარ როლში

მსოფლიო ჩემპიონი რესტლინგში

როდი პაიპერი

სეანსების დასაწყისი: 12, 14, 16, 18 სთ

ბილეთის ფასი 1 ლარი.

საფეხბურთო ბოგალიზაბორი

ლაპლას-ტოტო

№31 ტირაჟის შედეგები

1. 1-0 2. 1-0 3. 0-0 4. 3-8 5. 1-1 6. 3-2 7. 4-0

მოგებები: ხუთი მატჩი – 175 ლარი (2 ვარიანტი). ექვსი და შვიდი მატჩის ანგარიში ვერავინ გამოიცნო. JACK POT – შესაბამისად 805 და 1185 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, ახმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგება გაიცემა მისამართზე: ზეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ესკიზი" (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.

სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

საერთაშორისო ამხანაგური მატჩები

28 მაისი

ბულგარეთი — მაკედონია	1,2	3,0	6,5

29 მაისი

ჩრდილო ირლანდია — გერმანია	4,0	3,0	1,4
ავსტრია — ჩეხეთი	2,0	2,5	2,5
საფრანგეთი — ფინეთი	1,15	3,1	7,0
ესტონეთი — თურქეთი	5,3	3,3	1,2
ირლანდია — პორტუგალია	2,2	2,4	2,4
იტალია — ბელგია	1,2	3,0	6,5
რუსეთი — იუგოსლავია	1,4	3,0	4,0
შვეიცარია — ხორვატია	2,3	2,5	2,2

1 ივნისი

გერმანია — საფრანგეთი	1,5	2,8	3,8
უნგრეთი — იტალია	4,4	3,2	1,3
შვეიცარია — ჩეხეთი	2,0	2,5	2,5

2 ივნისი

ირლანდია — ხორვატია	2,4	2,4	2,2
რუსეთი — პოლონეთი	1,3	2,8	5,6

3 ივნისი

ფინეთი — თურქეთი	2,9	2,8	1,7

4 ივნისი

გერმანია — ლიხტენშტეინი	1,01	5,0	25,0
ჰოლანდია — ირლანდია	1,3	2,8	5,6

5 ივნისი

საფრანგეთი — სომხეთი	1,1	3,2	8,0

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

1 ივნისი

შვედეთი — ბელარუსი	1,15	3,2	6,5
0:2	2,0	3,0	2,0
ისლანდია — მაკედონია	1,5	3,0	3,4

2 ივნისი

ნორვეგია — აზერბაიჯანი	1,05	3,4	12,0
0:4	1,8	3,4	2,0
იუგოსლავია — მალტა	1,05	3,4	12,0
0:3	1,8	3,4	2,0
სან მარინო — უელსი	6,0	3,3	1,15
ეკვადორი — არგენტინა	2,5	2,5	2,0
პერუ — კოლუმბია	2,0	2,5	2,5
ურუგვაი — პარაგვაი	1,2	3,0	6,5
ვენესუელა — ჩილე	3,6	3,2	1,4

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
1	ALBACETE BALOMPIE		0-0	0-1	2-0	2-1	1-3	1-0	1-1	1-2	1-1	0-1	2-2	0-1	3-5	0-0	3-3	3-2	0-0	1-3	4-2	4-0	2-0
2	RCD ESPAÑOL BARCELONA	1-0		1-1	3-0	0-0	0-0	0-0	0-2	4-2	3-1	5-0	1-0	1-1	0-0	1-1	3-1	0-1	2-1	0-0	2-0	2-2	2-0
3	FC BARCELONA	3-0	2-1		4-1	1-0	1-0	1-1	1-3	2-0	3-0	4-1	1-1	3-1	1-0	1-0	2-1	0-1	2-2	0-0	1-0	3-2	2-2
4	ATHLETIC DE BILBAO	2-2	0-0	0-0		0-0	2-1	1-0	0-2	3-1	0-5	0-1	4-0	1-0	0-0	0-0	3-1	0-1	2-0	0-1	2-1	3-0	1-1
5	SD COMPOSTELA	3-1	2-1	2-1	2-1		1-0	4-0	1-3	1-0	3-3	4-1	2-0	3-2	2-0	1-2	0-0	0-0	0-2	0-4	1-3	1-1	1-0
6	SPORTING GIJON	3-0	2-3	0-3	1-2	2-1		1-1	1-2	3-1	0-0	0-1	4-2	4-1	1-1	2-3	3-2	3-1	0-2	1-3	4-2	1-0	3-1
7	DEPORTIVO LA CORUÑA	5-0	0-1	2-2	0-0	2-0	1-0		2-2	1-0	3-0	0-4	2-3	2-3	1-1	0-0	2-0	3-2	1-1	3-0	3-1	2-1	2-1
8	ATLETICO DE MADRID	2-0	2-1	3-1	4-1	3-0	2-0	1-0		0-0	1-2	3-0	2-0	1-1	4-1	1-1	2-1	0-1	3-1	2-3	0-2	3-2	1-1
9	RAYO VALLECANO	2-0	1-0	1-1	2-2	0-1	2-0	0-6	0-3		1-5	1-2	1-2	4-3	2-0	1-2	1-4	0-0	2-4	3-2	0-2	1-3	4-1
10	REAL MADRID CF	2-0	1-2	1-1	1-2	2-1	0-1	1-0	1-0	1-2		2-3	1-2	2-2	3-2	4-2	5-0	4-1	2-0	0-0	4-1	1-0	4-0
11	REAL OVIEDO	1-0	1-2	1-2	0-0	3-1	1-0	0-2	1-1	2-0	1-2		2-1	1-1	0-0	0-1	2-2	2-3	1-3	0-1	3-8	1-1	0-0
12	RACING SANTANDER	5-5	1-1	1-1	1-1	1-0	1-1	2-1	0-4	1-2	2-0	0-0		0-0	2-3	0-0	2-1	1-1	1-2	0-3	0-0	2-1	2-0
13	REAL ZARAGOZA	3-1	1-1	0-3	1-0	1-0	1-1	2-3	0-1	1-1	0-1	1-0	1-2		1-2	1-2	1-1	0-1	0-2	4-1	5-3	0-0	3-1
14	REAL SOCIEDAD	8-1	0-1	1-1	2-2	0-1	2-0	2-1	1-0	2-1	1-1	0-0	2-1	3-1		1-1	1-0	1-0	0-1	5-2	1-0	3-1	1-2
15	REAL BETIS SEVILLA	2-3	2-3	1-5	0-0	5-0	2-5	1-0	2-1	0-0	0-0	2-1	2-2	3-1	3-1		4-0	1-1	3-3	3-0	3-0	0-3	0-1
16	SALAMANCA	2-4	2-2	1-3	2-1	1-0	3-0	0-5	1-3	1-2	0-2	0-1	5-0	0-1	3-3	2-1		4-1	1-2	4-0	0-0	0-1	2-2
17	SEVILLA FC	1-1	0-3	1-0	1-1	0-1	2-0	0-0	0-0	1-0	0-1	1-1	0-1	1-1	2-1	1-0	3-1		0-1	1-2	1-1	0-0	3-0
18	CD TENERIFE	1-3	1-4	1-1	3-2	1-1	3-0	1-1	1-1	2-2	3-0	3-3	2-0	1-2	1-0	1-2	4-0	4-2		2-1	1-0	1-0	1-0
19	VALENCIA CF	1-0	1-0	4-1	3-1	5-2	1-0	2-1	0-1	3-0	4-3	3-1	2-1	0-0	0-1	1-1	2-0	1-0	2-2		1-0	3-0	4-1
20	REAL VALLADOLID	3-0	0-0	0-2	1-1	0-0	1-0	2-2	0-1	1-1	0-3	2-2	3-1	0-0	3-0	3-1	1-0	3-3	3-0	2-5		1-1	1-1
21	RC CELTA VIGO	2-2	4-2	1-0	3-1	0-1	0-0	0-0	0-3	2-0	1-1	1-0	0-0	1-1	1-1	2-0	2-1	4-0	2-2	1-1	1-1		2-0
22	MERIDA	1-1	0-1	0-0	1-0	0-2	1-0	0-2	0-1	0-1	2-2	3-1	3-1	1-1	1-2	1-1	0-0	3-2	2-0	0-2	1-0	2-0	

ევროპის ჩემპიონატის მოგების ფსონები

ინგლისი	2,2
იტალია	2,2
გერმანია	2,5
ჰოლანდია	5,0
ესპანეთი	5,0
საფრანგეთი	7,0
ხორვატია	10,0
რუსეთი	10,0
დანია	15,0
პორტუგალია	15,0
რუმინეთი	20,0
შოტლანდია	20,0
ბულგარეთი	30,0
ჩეხეთი	50,0
შვეიცარია	75,0
თურქეთი	100,0

კალათბურთი

ფინალის მძაფრი სიუჟეტი

საქართველოს ჩემპიონატი

ფინალი. მეორე მატჩი

დინამო (თბილისი) — ვითა (თბილისი) 78:73 (41:33)

დინამო: ელენტი (8), კილაძე (3), ხოშტარია (2), ოთიურიძე (25), ბეჟანიშვილი (17); დარსაძე (10), მაისურაძე, ბერძენიშვილი (2), ცხვედიანი (21)

ვითა: თორთლაძე (10), ჩხეიძე (6), სანაძე (14), ნაცვლიშვილი (9), შენგელია (16); კობეშავიძე, ტურაშვილი, ქარაბაკი (13), დადიანი, ორმოცაძე, კოკლიშვილი, დერიუგინი (5)

მსაჯები: სტრელცოვი (რუსეთი), ჩუდინი (რუსეთი)

მეორე მატჩი „დინამო" უჩვეულო სასტარტო ხუთეულით დაიწყო. მასში არც დარსაძე იყო და არც ცხვედიანი. მათი ადგილები ელენტმა და ოთიურიძემ დაიკავეს და, უნდა ითქვას, შესანიშნავად ითამაშეს. თუმცა, ყველაფერზე თანმიმდევრობით. შეხვედრის დასაწყისი ნერვიულად წარიმართა. ორწუთნახევარში მეტოქეთა ბევრი შეტევა განხორციელდა, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ მესამე წუთზე გახსნა ჩხეიძემ ანგარიში. იქვე ნაცვლიშვილმა მეორეც ჩააგდო და თითქმის დტრადიციული „ვითას" დაწინაურებაც წარმოისახა. მაგრამ დინამოელებმა, პირველი მატჩისგან განსხვავებით, მალე დაალაგეს თამაში და ანგარიშიც გათანაბრეს. ამის შემდეგ მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიედინებოდა. სანაძის შორიდან ტყორცნებს ოთიურიძემ უპასუხა, შენგელიას შედეგიან შეტევებს — ელენტმა გარღვევებით. მე-7 წუთზე შენგელიამ შეისვენა. იმავე წამს მოსშეპილს ბერძენიშვილი გამოჰყავს მოედანზე და რადგან შენგელია მალე ბრუნდება, ბერძენიშვილსაც ცვლიან. ამ მომენტიდან გამოჩნდა, რომ მოსშვილმა პირველი შეტევები ოთიურიძეს და ბეჟანიშვილს მიალებინა თავის თავზე. ამ მონაკვეთში ბრწყინვალედ ითამაშა ელენტმა, რომელმაც რამდენიმე გადაცემა ჩაჭრა, მშვენიერი გარღვევებიც შეასრულა და გუნდსაც უნარიანად ხელმძღვანელობდა. მოკლედ, მას საჯარიმეები რომ არ ესროლა ძალზე ცუდად, მისი თამაში უმაღლეს შეფასებას დიმსახურებდა. მაგრამ ჯარიმების გამოუყენებლობამ ელენტი ააღელვა და სწორედ ამ დროს მწვრთნელმა იგი დარსაძით შეცვალა. ნელ-ნელა „დინამოს" გამოცდილმა მოთამაშეებმა ხელთ იგდეს მატჩის სადავეები და ცხვედიანის სამქულიანის, ოთიურიძის შესანიშნავი პასის და ბეჟანიშვილის გარღვევის შემდეგ პირველად ამ მატჩში ხუთქულიანი სხვაობა დაფიქსირდა — 25:20 „დინამოს" სასარგებლოდ. ამ დროს ბერძენიშვილიც შემოდის მოედანზე და შენგელიას უფრო უძნელდება შედეგიანი სროლები. საპასუხო სვლაც არ აყოვნებს. — დარსაძეს დადიანი დაუდგა და სამქულიანი ტყორცნების საშუალება არ მისცა. თუმცა დარსაძე ამას არ აუღელვებია და ჩვეული ოსტატობით წარმართავდა „დინამოს" შეტევებს. სამქულიანი კი ცხვედიანმა გაისროლა და „დინამო" შესვენებაზე რვა ქულის უპირატესობით წვიდა 41:33.



ფარქვეშ: ბეჟანიშვილი და შენგელია

მეორე ტაიმში „ვითამ", პირველად სუპერფინალში, ქარაბაკი გამოიყვანა. ისიც თავდანვე გულმოდგინედ შეუდგა საქმეს და ორჯერ ზედიზედ ჩააგდო, თუმცა არა უპასუხოდ. დარსაძემ მაინც შეარჩია მომენტი, შორიდან სამი ქულა მოუტანა გუნდს და მეორე ტაიმის მეათეზე წუთზე „დინამო" ათი ქულით დაწინაურდა. 47:37. ცოტა ხნის შემდეგ ამასვე აკეთებს ცხვედიანიც და 51:39. შენგელია და ქარაბაკი 7 ქულამდე ამცირებენ სხვაობას. კვლავ ცხვედიანის სამქულიანი და ისევ 10 ქულა — 56:46. კიდევ 2 წუთი და სანაძის სამქულიანით ხუთქულამდე მცირდება — 58:53. აქ ოთიურიძე, რომელიც ამ დღეს თავდასხმაშიც და დაცვაშიც შესანიშნავად თამაშობდა, შენგელიას შეტევაში მეხუთე პერსონალურს აღებინებს და 9.22 წუთით ადრე „ვითა" თავისი ძირითადი ცენტრის გარეშე რჩება. „ვითამ" დაცვის მარწუხებს მოუჭირა, ქარაბაკმა და ნაცვლიშვილმა კი სხვაობა თითქმის მინიმუმამდე შეამცირეს — 63:60. სადაცაა, „დინამოს" უპირატესობა თითქოს დადნება, მაგრამ აქ კვლავ მშვენივრად თამაშობენ ოთიურიძე და ცხვედიანი 67:60. ლიპარტელიანი წუთშესვენებას იღებს. ვითელები ძობილიზებული უბრუნდებიან მოედანს და თორთლაძის სამქულიანით და ქარაბაკის ჯარიმით სხვაობა ორ ქულამდე მცირდება. მატჩის დამთავრებამდე კი ოთხი წუთია. ოთიურიძე და ბეჟანიშვილი კვლავ ხუთქულიან სხვაობას აღადგენენ 70:65. მატჩის დამთავრებამდე 3.36-ით ადრე მეხუთე პერსონალურის გამო მოედანს სტოვებს ნაცვლიშვილი. მის ნაცვლად პირველად ამ მატჩში შემოდის დერიუგინი. მართალია, იგი ველარაა ისეთი, როგორიც თავის საუკეთესო წლებში იყო, მაგრამ იმდენი გამოცდილება კი აქვს, რომ იცოდეს, რა არის ამ მომენტში საჭირო. მან ჯერ ორი ქულა აიღო, შემდეგ კი შეტევაში პაუზაზე დაიჭირა ოთიურიძე და მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემაც მეხუთე პერსონალური მიიღო. მის ნაცვლად მოედანზე ბერძენიშვილია. დერიუგინი ახლა მას უპირებს იგივეს. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთია და დარსაძე სამქულიანს აგდებს 74:68. დერიუგინი თავისას მაინც აღწევს 1.40 წამით ადრე მოედანს ხუთი პერსონალურის გამო ბერძენიშვილიც ტოვებს. დერიუგინი ორ საჯარიმოს აგდებს 74:70. დარჩა 1.24 წუთი. „დინამო" ბურთს ჰკარგავს. თორთლაძე რისკავს და შორიდან ათავსებს ბურთს კალათში. სხვაობა 1 ქულაღაა! აქვე „დინამოს" შეტევისას თორთლაძე მეხუთე პერსონალურს იღებს. 2 საჯარიმოს კილაძე ისვრის. მატჩის კულმინაცია. კილაძე ორიდან ერთს იყენებს 75:73. იქვე ვითელები ბურთს ჰკარგავენ. ახლა უკვე სანაძე იღებს მეხუთე პერსონალურს დარსაძის წინააღმდეგ და გელაც ორიდან ერთს აგდებს. 76:73 და ბურთი „ვითას" შემოაქვს. ჩხეიძემ მეტოქეს ტექნიკურად „აჰკიდა" ჯარიმა და ლიპარტელიანი 3 წამით ადრე წუთშესვენებას იღებს. ჩხეიძის პირველი ნატყორცნი არაზუსტია, მეორის ჩაგდებას აზრი არა აქვს. ჩხეიძეც კალათს არტყამს, ბურთს დინამოელები ეუფლებიან, „ვითა" ჯარიმდება და ცხვედიანი წერტილს უსვამს „დინამოს" გამარჯვებას. 78:73. სუპერსერიაში ანგარიში გათანაბრდა.

კოტე მგალობლიშვილი
ბადრი კეთილაძის ფოტო

III ადგილისთვის.

ქიმიკოსი — სდასუ 71:52 (31:28)

ქიმიკოსი: გურასპაული (20), გაბისონია (2), კეჭაყმაძე (8), მიქიაშვილი (10), მ. ბერუაშვილი (18); აბზიანიძე (10), გ. ბერუაშვილი (4)

სდასუ: მუშკუდიანი (2), გიგაური (11), ახობაძე, ეგუტია (13), ჩუბინიძე (13); ძიძიგური (3), ნიკოლაძე (2), ბერიშვილი (2), გაბრიჩიძე, დიმიტრიადი (6), ქვეხიშვილი

სდასუმ მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია წინააღმდეგობა რუსთაველებს. მეორეში კი „ქიმიკოსის" უპირატესობა აშკარა იყო და რუსთაველ გუნდმა დამსახურებულად დაიკავა მესამე ადგილი საქართველოს ჩემპიონატში.

სტუ — ქალთა ჩემპიონი!

შაბათს ბერის ბაღში გაიმართა საქართველოს ქალთა ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი თბილისის სტუ-ს და ქუთაისის „მეობას" შორის. სტუდენტები ერთხანს 26 ქულას იგებდნენ, მაგრამ ქუთაისელებმა ამოქაჩეს და დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სხვაობა ერთ ქულამდე დაიყვანეს. საბოლოოდ, მაინც სტუ-მ იმარჯვა, 88:84 მოიგო და შეინარჩუნა საქართველოს ჩემპიონის ტიტული.

ზამთარიც მოვა...

უცნაურია ადამიანის მეხსიერება. მთელი ზამთარი სითბოზე და ზღვაზე ვოცნებობთ, დათმება და თოვლი და თხილამურები გვენატრება. ჰოდა, ამიტომაც არ უნდა მოგეჩვენოთ უჩვეულოდ, თუ ზაფხულის პირზე სათხილამურო სკოლაზე გვინდა მოგითხროთ. უფრო სწორად, ჩვენ კი არა, ამ სკოლის დირექტორმა ბაზა იაშვილმა, რომლის ნაამბობიც თქვენამდე მოვიტანეთ, რადგან ამ სასკოლის მოყვარულთათვის არ უნდა იყოს უინტერესო, როგორ ცხოვრობს ეს სკოლა და რა პრობლემები აწუხებს.

სამთო-სათხილამურო სკოლა 1972 წელს ჩამოყალიბდა. იმ დროისთვის წარმოუდგენელი იყო, რომ რამდენიმე ადამიანს (ზურაბ მაისურაძეს - სკოლის პირველ დირექტორს, ლევან ლორთქიფანიძეს, ვახტანგ მიქელაძეს, მურმან იაშვილს და ვლადიმერ შალავიჩკოს) თითქმის არანაირ პირობებში, ეს შეეძლოთ. მაგრამ ენთუზიაზმმა თავისი გაიტანა. სკოლას პირველად სულ 6 მოწაფე ჰყავდა, რომელთა შორის ზაზა იაშვილიც იყო. პირველი შეჯიბრების შემდეგ სკოლა განათლების სამმართველოს მფარველობაში გადავიდა. ამ სკოლის პედაგოგებმა მაშინ წარმოუდგენელი შეძლეს — სამთო-სათხილამურო სპორტს თბილისელი ბიჭები აზიარეს. წლების მანძილზე ძნელ პირობებში ისინი შოულობდნენ ინვერტარს, ქმნიდნენ სათხილამურო ბაზას, რომელიც თხილამურებით გატაცებულ ბავშვებს და ახალგაზრდებს გაერთიანებდა. სკოლის პედაგოგთა ძალიან დიდი პროცენტს არტიტექტორები წარმოადგენდნენ. საქართველოში რატომღაც ასე დამკვიდრდა (როგორ არ გავიხსენოთ ლადო ალექსი-მესხიშვილი, რომელიც ძლიერი სამთომოთხილამურე გახლდათ). სწორედ ქართველი არტიტექტორ-მოთხილამურეების ინიციატივით დაარსდა არტიტექტორთა საერთაშორისო სათხილამურო კლუბი. არტიტექტორთა პირველი ორი საკავშირო შეჯიბრებაც ბაკურიანში ჩატარდა. ამ შეჯიბრებამ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა და საერთაშორისოც გახდა. სწორედ სკოლის პედაგოგების აღმოჩენილია გუდაურიც. ამ პერიოდში სკოლას დიდად ეხმარებოდა სოლიკო ხაბეიშვილი, რომელიც მაშინ ცკ-ის მდივანი იყო და ყველანაირად ხელს უწყობდა სკოლას, რათა ფეხზე დამდგარიყო. ამიტომ სკოლისთვის ძალზე დიდი დარტყმა იყო მისი დაპატიმრება. სხვათა შორის, ხაბეიშვილმა ფული გამოაყოფინა სკოლისთვის თოვლის სატკეპნი მანქანების შესაძენად და გარკვეული თანხა ინვენტარისთვის გამოაყო, ეს ამბავი კი შემდგომ ბრალდებადაც წაუყენეს სასამართლოზე და მის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას სკოლის დირექტორი ზურაბ მაისურაძეც შეეწირა — იგი დაადატიმრეს. მოკლედ, სკოლას ბევრი მწარე დღე ახსოვს და მიუხედავად ყველაფრისა, დღესაც აგრძელებს მუშაობას.

პრობლემები კი უამრავია. მოგეხსენებათ, სამთო-სათხილამურო სპორტი ძვირადღირებული სიამოვნებაა და ამიტომ სასანდო პირობების შექმნა ჩვენს მდგომარეობაში ძალზე ძნელია. სკოლაში 15-20 წლის წინანდელი ინვენტარია. ამ არეულ პერიოდში რამდენჯერმე გაიძარცვა ბაზა და ორასამდე წყვილი თხილამური დაიკარგა. ძნელია მოზარდების გაყვანა შეჯიბრებაზე, თუმცა გუდაურის კომპლექსის დირექციაში სკოლის ყოფილი პედაგოგები მუშაობენ და სკოლას ყველანაირად ეხმარებიან. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ისევ ენთუზიასტების ხარჯზე მუშაობენ. მშობლები თვითონ იძენენ ინვენტარსაც და პატარა სპორტსმენებისთვის საკვებსაც. შეჯიბრებები კი მაინც ტარდება თუმცა არა ისეთი ინტენსიობით, როგორც უნდა იყოს. სკოლაში სურთ ჩაატარონ ტურნირი, სადაც საზღვარგარეთიდანაც მოიწვევენ სპორტსმენებს. გუდაურში ხომ ნიამოვნებით ჩამოდიან, რადგან ასეთი სათხილამურო ტრასა იშვიათია როგორც ეკოლოგიური თვალსაზრისით, ისე თოვლის ხარისხითაც და იმითაც, რომ სამხრეთი ქანობია და სპორტსმენებს ერთდროულად თოვლში და მზეზე ყოფნა სიამოვნებთ.

ამის გარდა, სკოლა ახერხებს სპორტსმენების გაგზავნას საზღვარგარეთ. რა თქმა უნდა, ისევ მშობლების დახმარებით. სკოლაში ბევრი ნიჭიერი სპორტსმენია და გარკვეული წარმატებებიც აქვთ. ვთქვათ, სოფიკო ახმეტელმა 14 წლამდე სპორტსმენებში იუგოსლავიაში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, თურქეთში კი მსოფლიო თასის ეტაპი მოიგო თავის ტოლებში. სხვაც ბევრია პერსპექტიული, რომელთაც მიხედვა სჭირდებათ. იმისთვის, რომ ისინი მაღალი კლასის სპორტსმენები დადგნენ, ვარჯიშებთან უნდა იყვნენ დატვირთული, უნდა ჰქონდეთ კალორიული კვება და ა. შ. აგრეთვე აუცილებელია, ისინი სხვადასხვანაირ ტრასებს შეეჩვიონ.

სკოლას აქვს რეზერვები პირობების გასუმჯობესებლად — თბილისში არის ტერიტორია, რომელიც ამ სკოლას ეკუთვნის და სკოლის პედაგოგებს სურთ, იქ ააშენონ სპორტდარბაზი, რომლის გაქირავება გარკვეულ შემოსავალს მოიტანს. გუდაურში არის დაუთავრებელი შენობა, რომლის დამთავრებაც სკოლის აღსაზრდელებისთვისაც კარგი იქნება და მისი გაქირავებაც შესაძლი იქნება. გუდაურში ამ სკოლისაა საბაგირო, რომელიც არ მოქმედებს და გარემონტება სჭირდება.

თუ ბავშვები ხშირად ივლიან საერთაშორისო შეჯიბრებებზე, მათი წარმატების შემთხვევაში (ეს კი რეალურია, რადგან სკოლას ნიჭიერი ბავშვები ჰყავს) რომელიმე ცნობილი ფირმა მათ დახმარებასაც იკისრებს, მაგრამ ჯერ მათი ამ შეჯიბრებებზე მოხვედრაა საჭირო. შეიძლება ავიაკომპანია „ორბი“ დათანხმდეს იმაზე, რომ სკოლის მოსწავლეები შეღავათიანად აფრინოს.

კიდევ ერთი პრობლემაა 18-20 წლის სპორტსმენების შენარჩუნება. ბავშვობის ასაკიდან გამოსული მოთხილამურეები თუ ნაკრებში ვერ მოხვდნენ, სპორტს თავს ანებებენ. არადა, ეს ის ასაკია, რომელშიც უნდა გაიხსნას მოთხილამურე და გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. ამიტომ სკოლის პედაგოგებს სურთ გახსნან კლუბი, რომელიც შეა რგოლი იქნება სკოლასა და ნაკრებს შორის და ბევრ ნიჭიერ სპორტსმენს ვარჯიშის გაგრძელების საშუალებას მისცემს. ამისთვის კი კვალიფიციური მწვრთნელებია საჭირო. სკოლის დირექტორი იმედოვნებს, რომ სპორტსმენთა აღზრდის საკლუბო სისტემა საშუალებას მისცემს მათ მოიწვიონ სპეციალისტები საზღვარგარეთიდან: რუსეთიდან, უკრაინიდან, ბულგარეთიდან ან პოლონეთიდან.

თუ ეს პრობლემები მოგვარდა, ზაზა იაშვილის აზრით, ორ წელიწადში გარკვეული შედეგიც იქნება. მანამდე კი სკოლა განაგრძობს მუშაობას მთელი წლის მანძილზე. ზაფხულში მოთხილამურეებს შეკრებები აქვთ, მხოლოდ ერთი თვით ისვენებენ. სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები ერთი დიდი ოჯახია და ერთად ეჭიდებიან პრობლემებს. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან სპორტის გარდა მათთვის სკოლა ადამიანური ურთიერთობების ჩამოყალიბების ის ადგილია, სადაც ყველა გრძნობს პასუხისმგებლობას ერთმანეთის წინაშე.

სექტემბერში სამთო-სათხილამურე სკოლა ახალ მიღებას აცხადებს. სკოლაში მიიღებენ 7-დან 14 წლამდე ბავშვებს, იმათ, ვისაც სამთო-სათხილამურო სპორტი უყვარს. მერე კი... მერე იმედია, რომ საქმის სიყვარული შედეგებს გამოიღებს.

კოტე მგალობლიშვილი

სააგენტო „მინერვა“

ოდგვართეთ და თქვენს წინაშე ხელისგულივით გაიშლება მთელი მსოფლიო.

— მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე;

— ბილეთები ავია-რეისებზე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით;

— მყარი, შეუვალი გარანტიები და რაც მთავარია — მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ფასები.

ყველაფერი ეს — ჩვენთან!

მისამართი: კინოთეატრი „რუსთაველი“, ცენტრალური შესასვლელი.

ტელ: 93-22-53

დიდი საზიზღარი ჯონი

ჯონ მაკენროი დაიბადა 1959 წლის 19 თებერვალს ვისბადენში. 1978 წლიდან პროფესიონალი ჩოგბურთელია.

მიღწევები: უიმბლდონის სამგზის გამარჯვებული, ოთხჯერ მოიგო ამერიკის ღია ჩემპიონატი.

მეტსახელი: „ბიგ ბედ ჯონი“ (დიდი ცუდი ჯონი) და „აგლი ჯონი“ (საზიზღარი ჯონი).

1990 წელს ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის დისკვალიფიცირებული იქნა. 1993 წელს მაკენროიმ სპოტული კარიერა დასრულა. ერთი წლის შემდეგ მსახიობ ტატუმ ონილს გაეყარა. შვილები — კევინი, შონი და ემილი დედასთან დარჩნენ. 1994 წლიდან ნიუ-იორკის სამხატვრო გალერეის მფლობელია.

„შპორტ-ბილდში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ახლა კი კომენტატორი, მუსიკოსი და ხელოვნებათმცოდნე საუბრობს დღევანდელი ჩოგბურთელების სიძუნწეზე, მათ მიერ დოპინგის გამოყენებასა და თავის გეგმებზე ოლიმპიადისთვის.

— თქვენ ჩოგბურთის ისტორიაში მეხუთე ბრძანდებით, ვინც (1980 წელს) მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა. მიგაჩნიათ თუ არა ახლანდელ საში პირველ პოზიციაზე მყოფი თომას მუსტერი თქვენს ღირსეულ მემკვიდრედ?

— მართებული არ იქნებოდა მუსტერი იმისთვის გამეკრიტიკებინა, რომ ის პირველი ჩოგანია. მას ხომ არ მოუგონია ქულების დარიცხვის სისტემა. მაგრამ მაინც, მუსტერი ლეგიტიმური პირველი ნომერი არ არის, თუმცა ისიც დასაფასებელია, რომ ისეთი ტრავმის შემდეგ, როგორმაც ბევრ სპორტსმენს ჩოგბურთზე ხელი აალებინა, მან შეძლო საკუთარ თავში ძალა ეპოვნა და ასეთი შედეგისთვის მიეღწია.

— როგორ უნდა შეიცვალოს კლასიფიკაციის სისტემა?

— სისტემა ამგვარი უნდა გახდეს: მხოლოდ 14 საუკეთესო. ტურნირების მიხედვით ქულების დარიცხვა სისულელეა. ამით ჩოგბურთელიც აკებს და გულშემატკივარიც, რადგან მრავალ საშაალო დონის ტურნირზე ჩოგბურთელები 100 პროცენტით არ იხარჯებიან. ყოველი ტურნირი უნდა გავითვალისწინოთ და ამასთან ჩოგბურთელმა აუცილებლად უნდა ითამაშოს განსაზღვრული მატჩების რაოდენობა განსაზღვრულ საფარიან კორტზე.

— ხომ არ გსურთ კვლავ ტურნირებში მონაწილეობა?

— რისთვის? მე თავისუფლად შემიძლია ოცეულში მოვხვდე, მაგრამ იბადება კითხვა: რაში მჭირდება ეს? რომ დავამარცხო ერთი-ორი კაცი, რომელთაც მთელი ჩემი კარიერის მანძილზე კუბებდი? მე მჯერა, რომ ბევრზე უკეთესი ვარ, მაგრამ ფიზიკურად ის აღარა ვარ, საუკეთესო წლებში რომ ვიყავი. ახლა ჩემს შვილებს მინდა დავუთმო ყურადღება და დრო.

— მსახიობ ტატუმ ონილთან განშორებამ თქვენ დიდი ტრავმა მოგაყენათ...

— ქალთან განშორებაზე საშინელი ალბათ მხოლოდ სიკვდილია. საოცარ განცდებში ვიყავი. საბედნიეროდ, პატი სმიტი გავიცანი, შესანიშნავი ქალი, მასთან ბავშვიც შემეძინა და ახლო მომავალში დაქორწინდებით კიდეც.

— რას ურჩევდით ანდრე აგასისა და ბრუკ შილდსს?

— ყველას, ვისაც ცოლის მოყვანა განუზრახავს, მინდა ვუთხრა: არ იჩქაროთ. ანდრემ ქორწინებამდე დიდი გზა განვლო. მე მას ბედნიერება მინდა ვუსურვო.

— თქვენ მასზე და პიტ სამპრასზე ნაწყენი ხართ — მათ არ მოისურვეს დევისის თასზე თამაში...

— მე მათი არ მესმის. რა შეიძლება იყოს იმაზე ამაღელვებელი, ვიდრე შენი ქვეყნის სახელით ასპარეზობა. ასეთი უპასუხისმგებლობა საოცრად მიფუჭებს ხასიათს. სწორედ ამიტომ ვთქვი უარი აშშ-ის ნაკრების კაპიტნობაზე.

დღევანდელი პროფესიონალები ქედმაღლები და ეგოისტები არიან.

— შეგიძლიათ მაგალითი დაგვისახელოთ?

— თუნდაც მიხაელ შტიხი და ბორის ბეკერი. ორივე ფულს იღებს გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციისგან და მაინც სპექტაკლებს მართავენ. ეს არ მესმის. ისინი ათჯერ მეტს იღებენ, ვიდრე თავის დროზე ჯიმი კონორსს უხდიდნენ. მერე კი იტყვიან: მე დევისის თასზე თამაში არ შემიძლია, რადგან ჰონკონგის ტურნირის გამოტოვება არ მსურსო. მათი გასამრჯელოს დათვლისას კი ცუდად ვხდები ხოლმე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეს თანხები ყველანაირ ზღვარს სცილდება. საოცრად ცუდ გუნებაზე ვდგები, როცა ვფიქრობ პოლიციელზე, რომელიც ჩვენი ბავშვებისა და ჩვენს უსაფრთხოებას იცავს და ამ დროს გროშებს იღებს. ყველაზე [illegible] რომ ბატონ [illegible] წუწუნია [illegible] თამაში [illegible] მართლაც — თავიანთი პირი პროფესიად იქცეს და მულტიმილიონერებიც გახდნენ.

— ფულსაც არ შეუძლია ადამიანისთვის ბედნიერების მოტანა. ამის უტყუარი მაგალითი შტეფი გრაფია...

— თუ მან მართლა არაფერი იცოდა მამის თაღლითობის შესახებ, ნამდვილად შესაბრალებელია, თუ არა — რატომ უნდა შევიბრალოთ. მე ვგრძნობ, რომ შტეფი არაფერს უწყოდა. მხოლოდ ის ვერ გამიგია, რატომ ზის მამამისი ციხეში, როცა ის, ვინც მონიკა სელეში დაჭრა, თავისუფლად დასეირნობს.

— მათს ვილანდერი და კარელ ნოვაჩეკი ამ ცოტა ხნის წინ კოკაინის გამოყენებაში დაადანაშაულეს. საერთოდ, დოპინგის შესახებ რას ფიქრობთ?

— კოკაინი სადოპინგო საშუალება არ არის, მისი გამოყენება და მარცხი ტოლფასია. ანაბოლური და სტეროიდული პრეპარატების მიღება დაუშვებლად მიმაჩნია. მძლეოსნობის იმიჯის დაცემა ჩვენთვის მაგალითი უნდა იყოს. ჩოგბურთელებმა სისტემატურად უნდა გაიარონ სადოპინგო ტესტი. ჩოგბურთი ხომ ოლიმპიური სახეობაა.

— გსურთ ოლიმპიადაზე ასპარეზობა?

— ოლიმპიადაზე არასოდეს მითამაშია და ვოცნებობ ატლანტაში გამოსვლაზე. ეს კი სავსებით შესაძლებელია: მე ხომ საუკეთესო ჩოგბურთელი ვარ წყვილთა თამაშში. იმედი მაქვს, სხვებიც ასე ფიქრობენ.

— როგორ ფიქრობთ, ბეკერის კარიერა დასასრულს მიუახლოვდა?

— იმ დღეს, როცა ბეკერი ფორმაშია, მისი მძლეველი არავინაა. სამწუხაროდ, ასეთი დღეები იშვიათობა გახდა. საფრანგეთის ღია ჩემპიონატს ის ჟღარასოდეს მოიგებს. ბედნიერი დღეები მიწის საფარზე მას აღარ ექნება.

— ახალგაზრდებიდან რომელ ჩოგბურთელებს გამოარჩევდით?

— მე მარსელო რიოსი მომწონს. ის ბურთს ადრე ხვდება და „მე უძლიერესი ვარ“ — ამ რწმენით გადის კორტზე სათამაშოდ. ასეთი რწმენით იგი შემდგომში ბევრს მიაღწევს. კეფელნიკოვი კლასიფიკაციაში პირველი უნდა გახდეს, თორემ დარჩება ნიჭიერ ჩოგბურთელად, რომელმაც ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. მარკ ფილიპუსისსაც შეუძლია დიდი ჩოგბურთელი დადგეს, მხოლოდ ფიზიკურად უნდა მომძლავრდეს.

— სატელევიზიო რეპორტაჟების დროს თქვენი კომენტარები ჩოგბურთელების ბრაზს ხომ არ იწვევს?

— არა. მათ კარგად უწყიან, რომ მაკენროიმ იცის, რას ლაპარაკობს. მათგან ბევრ კომპლიმენტსაც ვიღებ ხოლმე.

— რა გაყენებთ ცუდ გუნებაზე?

— სპექტაკლი, რომელშიც ჩემი ყოფილი მეუღლე თამაშობს.

— მოდით, ინტერვიუ მაჟორულ ნოტაზე დავამთავროთ...

— ჩემი ქალიშვილი ანა ექვსი კვირით ადრე მოევლინა ქვეყნიერებას. მე და პატი ნერვიულობისგან ლამის დავიხოცეთ. საბედნიეროდ; ახლა ყველაფერი კარგადაა. არ შემიძლია სიტყვებით გადმოგცეთ, რა ბედნიერი და ამაყი ვარ.

ჯონი და პატი მალე დაქორწინდებიან

ჩოგბურთი

გაცხრილული „როლან გაროსი“

გუშინ პარიზში წლევანდელი დიდი სლემის მეორე შეჯიბრი — საფრანგეთის ღია პირველობა გაჩაღდებოდა.

მონაწილეთა რიგები დაწყებამდე გაიცხრილა — ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ ბორის ბეკერი (გერმანია), გაბრიელა საბატინი (არგენტინა) და ჩანდა რუბინი (აშშ). შეჯიბრს ამავე მიზეზით კინალამ გამოაკლდნენ პიტ სამპრასი (აშშ), მონიკა სელეში (აშშ), მერიჯო ფერნანდესი (აშშ) და თვით თომას მუსტერიც (ავსტრია).

საფრანგეთის შარშანდელი ჩემპიონი მუსტერი წინა კვირაში შინ, სენ-პოლტენის შეჯიბრში ასპარეზობდა, მაგრამ მეოთხედფინალში უბრძოლველად დანებდა იტალიელ ანდრეა გაუდენციოს. საქმე ისაა, თომასი (1) ესპანელ ხავიერ სანჩესთან ერთად მოთელვას ატარებდა, კოჭი რომ იღრძო და პოსპიტალშიც მოხვდა, საიდანაც პარიზელ ორგანიზატორებს შეეხმიანა და აღუთქვა, აუცილებლად ჩამოვალ და ვითამაშებ, მაგრამ ეგებ პირველი მატჩი ერთი დღით გადამიდოთო.

გუდფენდმ ვერ შეიშნო ბედის წყალობა — ნახევარფინალში 3:6, 7:5, 2:6 წააგო განუთესელ ესპანელ ფელიქს მანტიიასთან. მეორე ნახევარფინალში მარსელო რიოსმა (ჩილე, 2) 7:6, 6:3 აჯობა ჩეხ სლავა დოზედილს, შაბათს კი ფინალიც მოუგო მანტიიას 6:2, 6:4.

ფერნანდესი სტრასბურში (საფრანგეთი) თამაშობდა და მასპინძელ დეშონ-ბალარეს რომ ხვდებოდა, სულ მთლად დაუძლურდა — ორგანიზმში სითხე შემოაკლდა. ამ ტურნირის ფინალში ლინდზი დავენპორტმა (აშშ) ორ ხელში დაამარცხა ბარბარა პაულუსი (ავსტრია).

სელეშს ისევ გაუმიზეზდა მხარი, ბოლო ოთხი თვე რომ აწუხებს. მონიკა მადრიდში თამაშობდა. მეოთხედფინალში მას მტკივანი ტერფის გამო ვერ ეთამაშა ირინა სპირლეა (რუმინეთი), მაგრამ მერე, ნახევარფინალში, მონიკა (1) თავად დანებდა ჩეხ იანა ნოვოტნას. ფინალი აქაც შაბათს გაიმართა: ნოვოტნამ (6) 4:6, 6:4, 6:3 აჯობა ბულგარელ მაგდალენა მალეევას (4), ვინაც ნახევარფინალში 6:4, 7:5 დაამარცხა არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 2). რაც შეეხება კონნიტა მარტინესს (ესპანეთი, 3), იგი ადრევე გააგდო ჩეხმა რიხტეროვამ 6:2, 6:3.

სამპრასი და ბევრი სხვაც დიუსელდორფში, მსოფლიოს გუნდურ თასზე ასპარეზობდა. „ლურჯ ჯგუფში“ თამაშობდნენ ჩეხეთი, პოლანდია, აშშ და რუსეთი, ხოლო „წითელ ჯგუფში“ — შვეიცარია, შვედეთი, ესპანეთი და გერმანია.

პიტი ერთობ დასცადა სიცივემ და ხისტმა კორტმა: რიხარდ კრაიჩეკთან (პოლანდია) თამაშისას ზურგი ეტკინა — კუნთის სპაზმი დაეწყო. მანამდე პიტს უკვე წაეგო ბორდან ულირახთან (ჩეხეთი), შაბათს კი 47 წუთში ევგენი კაფელნიკოვთანაც (რუსეთი) 3:6, 2:6 დამარცხდა.

შეჯიბრი ერთობ შეაფერხა წვიმამ. რომ ვეღარ ასწრებდნენ, ორგანიზატორებმა სახელდახელოდ გადახურეს კორტი. საბოლოოდ, კვირის ფინალში გაალწიეს ჩეხეთმა და შვეიცარიამ. საქმე გადამწყვეტ, მესამე, წყვილთა შეხვედრაზე მიდგა. იაკოვ პლასეკმა და მარკ როსემ ორ ხელში დაამარცხეს პეტერ კორდა და დანიელ ვაჩეკი და შვეიცარიას პირველად მოუპოვეს თასი.

ირაკლი ნინუა

ᲡᲐᲛᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲠᲐᲒᲑᲘ

ზინზან ბრუქს ოქლენდის გუნდში ნაკრების კაპიტანი შონ ფითსპატრიქი იქვე, პირველ ხაზში პყავს, მაგრამ კაპიტანი მაინც თავადაა

ზღვისპირა ოქლენდში ზამთრის ამინდი იდგა — ციოდა, წვიმდა და ქარიც ქროდა, „იდენ პარკი“ კი პირამდე შეავსებულიყო: 45 ათასი ბილეთი საზოგადოებას სულ რაღაც 24 საათში დაეტაცა. ვინც სტადიონზე ვერ მოხვედრილიყო, იმას სხვა ქვეყნების რაგბის ქომაგთა დარად რუპერტ მერდოქის ფასიანი საკაბელო არხებით შეეძლო თამაშისთვის თვალის მიდევნება.

გუნდებს არავინ აკლდათ, თუმც კი ორივე მწვრთნელი მეტოქის ღირსებებს აქებდა. ოქლენდელმა გრეგ პენრიმ ნატალს ლაღი ქცევა შეუქო, ერთი კვირის წინ ჩვენთან ნამყოფი ჩრდ. ტრასვაალივით კი არაა დაზაფრულიო. ნატალელმა იენ მაკინტოშმა შენიშნა, შინ მოთამაშე ოქლენდი უდაო ფავორიტია, ვიდეოს შემოსვლის შემდეგ მსოფლიო რაგბში საიდუმლო აღარაფერი დარჩა, თამაშის ბედს კი გარემარბები გადაწყვეტენო.

ანგარიში მართლაც გარემარბმა გახსნა — ჯონა ლომუმ მე-10 წუთზე დიფრინა რამდენიმე აფრიკელი. მალე ოქლენდი 13:0 დაწინაურდა, მერე 20:3 გაიჭრა წინ, მაგრამ სტუმრებმა თავი გამოიდეს და შესვენებისთვის წამოეწივნენ მეტოქეს 16:20.

ყველაფერი თამაშის განახლებისთანავე გადაწყდა: 42-ე წუთზე ნაკრების ყოფილმა წევრმა ერონი ქლარქმა კარს უკან გაიტანა ლელო, ცოტა ხანში კი რაიქლმანმა 20-მეტრიანი რეიდი განახორციელა. ანგარიში 32:16 გახდა. ნატალმა ამის მერეც იბრძოლა, მაგრამ ოქლენდს ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვია.

ზე-12-ის ჩემპიონატის ფინალი

შაბათი, 25.V. ოქლენდი, იდენ პარკი

ᲝᲥᲚᲔᲜᲓᲘ 45 - 21 ᲜᲐᲢᲐᲚᲘ

ოქლენდის „ლურჯები“ (ახალი ზელანდია): ქემმორი; ვიდირი, ქლარქი, ნგაუამო, ლომუ *; სპენსერი, ტონუუ; დაუდი *, ფითსპატრიქი *, ბროუნი *; რ. ბრუქი *, რაიქლმანი; მ. ჯოუნზი, ბლაუერსი, ზ. ბრუქი * (კაპიტანი). — 6ლ: ლომუ, ბლაუერსი (2), სპენსერი, ქლარქი, რაიქლმანი; 3გ, 3ს: ქემმორი

ნატალის „ზეიგენები“ (დურბანი, სამხრეთი აფრიკა): ა. უუბერი *; სმოლი *, თომსონი, მიუირი, კ. ფანდერვესპაიზენი; პონიბალი, პაოი; ო. ლერუ, ალენი, გარვი; აფერეონი, ენდრიუზი *; ვ. ფანპირდენი, ფივი, ტაიხმანი (კაპიტანი). — 2ლ: უუბერი, სმოლი; გ, 3ს: პონიბალი

მსაჯი ერიქსონი (ავსტრალია)

მსოფლიო თასის ფინალის მონაწილეებს * უზით

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲝᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ერთგვარად სიმბოლური იყო, სამხრეთი ნახევარსფეროს პროვინციათა პირველი პროფესიული ჩემპიონატის — ზე-12-ის ფინალში ორი ძველი მოშუღარის — ახალი ზელანდიისა და სამხრეთი აფრიკის ჩემპიონები რომ შეიბნენ.

საქმე ისაა, რომ 1920-იანი წლებიდან მოყოლებული სწორედ აფრიკელთა და ზელანდიელთა დავაში ირკვეოდა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონი, შარშან კი ნაღდიც დადგინდა: აფრიკამ შინ დაამარცხა ზელანდია და ვერ ელისის თასს დაეპატრონა.

წელს ზელანდიას რევანშის შანსი მიეცა: ზე-12-ის ფინალში მისი ჯილა ოქლენდი აფრიკის რჩეულ ნატალს მასპინძლობდა. ჰოდა, შარშან დამარცხებულმა ფითსპატრიქმა, ბრუქებმა და ლომუმ აიყოლიეს თანგუნდელები და ჟუბერ-სმოლ-ენდრიუზსა და მათიანებს სამაგიერო გადაუხადეს.

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲠᲐᲒᲑᲘ

ᲤᲘᲠᲐ-Მ ᲡᲚᲐᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲒᲕᲐᲛᲬᲔᲡᲐ

საქართველოს კაცთა ნაკრები 1999 წლის მსოფლიო თასის პირველი შესარჩევი ეტაპიდან თავისუფალი რომაა, 1996-97 წლების სეზონში ისევ ითამაშებს ფირა-ს შეჯიბრებაში, რომლის მიხედვითაც მეორე შესარჩევ ეტაპზე ჯგუფებად დაყოფენ მონაწილეებს.

ფირა-ს ბოლო ჩემპიონატში საქართველომ პოლანდიის კვალად მეორე ადგილი დაიჭირა „ბ1“ ჯგუფში და „ბ“ დონეზე თამაშის უფლება მოიპოვა. ვიცოდით რა ფირა-ს უპრინციპობა და მისგან გამოგზავნილ საბუთთა შინაარსი, ჩეხეთის ძლევისთანავე ვარაფი გამოვთქვით, მსოფლიო თასის შესარჩევთა და ფირა-ს მატჩების შეთავსების გამო ამ უცნაური შეჯიბრის მორიგი რე-სტრუქტური-ზაციაა მოსალოდნელი, რის გამოც შეიძლება ჯანდაბაში გადაგვისროლონო.

საბედნიეროდ, ჩვენი ეჭვი არ გამართლდა და მსოფლიო თასის პირველი — მაჩანჩალათა ეტაპი არ გვეხება. სამაგიეროდ, ფირა-ს მაინც მოუხერხებია ყველაფრის არევ-დარევა: საფრანგეთი, იტალია და რუმინეთი ისევ დაუთხოვია თავისი შეჯიბრიდან, „ბ1“, „ბ2“ და „ბ1“ ჯგუფებში შარშან მოთამაშე დანარჩენი 12 გუნდი კი შეუკრებია და ოთხ ქვეჯგუფად დაუყვია.

ვიდრე ქვეყნებს დაეჯგუფებდა, ფირა-ს ჯერ შარშანდელი შედეგები თავის ჭკუაზე გაუაზრებია და ერთი დიდი ცხრილი შეუდგენია, მერე კი გუნდები ნალმაუკუღმა ჩამოურგებია. ამასთან, ისიც გაუთვალისწინებია, რომ ტუნისმა და დანიამ (საქართველოსთან!) თამაშები გააცდინეს, რის გამოც ესენი ბოლოში დაუსვამს.

ფირა-ს 1996-97 წლების ქვეჯგუფები:
„ა“: ესპანეთი (1), ბელგია (8), გერმანია (9)
„ბ“: რუსეთი (2), საქართველო (7), ჩეხეთი (10)
„გ“: პორტუგალია (3), პოლანდია (6), ტუნისი (11)
„დ“: მაროკო (4), პოლონეთი (5), დანია (12)

თამაშები გაიმართება ერთ წრედ. ამ შემოდგომაზე საქართველო პირველად ეწვევა რუსეთს და ისევ უმასპინძლებს ჩეხეთს.

გაზაფხულზე გაიმართება ნახევარფინალები და ფინალები. ქვეჯგუფებში პირველ ადგილზე გასულნი ერთმანეთს შეეჯიბრებიან. ცალკე იასპარეზებენ მეორენიცა და მესამენიც. გათამაშდება ყველა, 12-ვე ადგილი.

ამის მერე ცხრილიდან ამოშლიან მაროკოსა და ტუნისს, ხოლო თავში დაუმატებენ იტალიასა და რუმინეთს. ამ ახალი სიიდან აიგება მსოფლიო თასის მეორე ეტაპის სამი შესარჩევი ჯგუფი. პირველში მოხვდებიან ფირა-ს I, VI, VII და XII გუნდები, მეორეში — II, V, VIII და XI, ხოლო მესამეში — III, IV, IX და X. გარდა ამისა, თითო ჯგუფს დამატება პირველი ეტაპიდან დანინაურებული თითო გუნდი.

ამგვარად შედგენილი სამი ხუთგუნდა ქვეჯგუფი 1997-98 წლებში ერთ წრედ ითამაშებს. ევროპული ზონის დასკვნით შეხარჩევ ეტაპზე ამ ქვეჯგუფებიდან ორ-ორი დანინაურებული გავა.

ᲡᲐᲨᲕᲘᲓᲙᲐᲪᲝ ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ

ხვალ დილით თბილისიდან პარიზს, იქედან კი ლისაბონს გაფრინდება საქართველოს საშვიდკაცო ნაკრები, რომელიც ამ შაბათ-კვირას, 1-2 ივნისს, პორტუგალიის დედაქალაქის უნივერსიტეტის სპორტულ კომპლექსში სხვა 23 ქვეყნის მორაგბეებს შეეცილება შვიდკაცას მეორე მსოფლიო თასის (პონკონგი, 1997 წლის მარტი) რვა საგზურს.

ლისაბონში საქართველოს დელეგაციას რაგბის კავშირის გენერალური მდივანი, 35 წლის გია კუბლაშვილი უთავკაცებს. მწვრთნელიც მისი კბილაა — 37 წლის მალხაზ ჭეიშვილი („ყორები“), ვინაც თავადაც აჭარებს თამაშს. „ცუნცულად“ ცნობილმა მალხაზმა მრავალგზის გასინჯვის შემდეგ საშვიდკაცოდ შემდეგი ათეული შეარჩია:

მარკინალები — დიმიტრი ობოლაძე („გუმარი“), ზაზა ლეფაკა და რატი ურუმაძე (ორივე „ყორები“)

უკანახაზელები — ლევან ჩიქვინიძე, კახა მაჩიტაძე და გიო ბუგანინაშვილი (სამივე „გუმარი“), სპირიდონ ლიპარტელიანი და სანდრო საკანდელიძე (ორივე „ყორები“), პაატა ძოწენიძე („აია“) და კახა ალანია („ყორები“). თუ ტურნირის დაწყებამდე ვინმე დაუშავდება, ჭეიშვილი იტალიიდან უხმობს არჩილ ქავთარაშვილს („ქორები“).

ლისაბონში ჩვენები მე-11 ნომრად არიან განთესილი. მონაწილეთა დონე ერთობ არათანაბარია. ამთავითვე ცხადია, რომ ჩვენები შვიდკაცაში ვერ აჯობებენ ახალ ზელანდიას (ვისაც 44 უკეთესი მოთამაშე ეყლდება), ირლანდიის, კანადასა და კორეას, მაგრამ საზარლად დაანგრევენ ნორვეგიას, ანდორას ანაც უნგრეთს.

შეჯიბრების სისტემაც ერთობ ჩახლართულია, თუმც კი ორიგინალური და სამართლიანი. ჩვენების ამოცანაა, მოხვდნენ მოწინავე რვეულში — მათთვის მიჩენილი ადგილიდან მინიმუმ სამით აღზევდნენ, ანუ გადაუსწრონ ლატვიას (8), მასპინძელ პორტუგალიას (9) და პოლონეთს (10), ხოლო უკრაინა (12) უკანვე მოიტოვონ. თუ ქართველები თავს არ დაზოგავენ, არც ესპანეთი (4), ნამიბია (6) და რუმინეთი (7) უნდა გაუხდეთ დაუძლეველ წინაღობად.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘᲪ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ქართველი სტუდენტები 28 ივნისიდან 20 ივლისამდე დროს ტრანსვაალში (სამხრეთი აფრიკა) გაატარებენ და სტუდენტთა მესამე მსოფლიო თასზეც სინჯავენ ძალას. ნაკრებს ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერის უფროსები — გელა მიქაბერიძე და ლაშა გეგეჭკორი ამზადებენ.

21 მაისს საქართველოშიც რომ იქნა შემოღებული თამაშის ახალი წესები, სტუდენტური ნაკრები „გუმართან“ 6:10 დამარცხდა. ორი დღის შემდეგ, 23 მაისს, სტუდენტები ვაკეშივე ეთამაშნენ „ქორებს“. ნაკრებში „გუმარის“ ბიჭებიც თამაშობდნენ, ზოგ მათგანს (ობოლაძეს, ხუციშვილს) კი „ქორები“ გაეძლიერებინა. დიდი ხნის შესვენების შემდეგ ისევ მსაჯობდა ზურაბ რეხვიაშვილი, ბოლო წლებში ტანთ-ქანდაკების („ბოდი-ბილდინგის“) წრეს რომ უძღვება სპორტის დეპარტამენტის სამდარბაზიან სპორტ-კომპლექსში.

ნაკრებმა ამჯერად უკეთ ითამაშა და 31:3 (3:3) გაიმარჯვა. მისი ლელოები გაიტანეს ჯიმშელაძემ (12, „გუმარი“), ლაბაძემ (7, პენზა, რუსეთი), ჭავჭავაძემ (2, „ყორები“) და ნიკა იურინმა (15, პენზა). მოდებაძემ (10, „გუმარი“) ოთხივე გარდასახა და საჯარიმოც გაიტანა. „ქორების“ მონაგარი წვეულიძის (10) არეკნი იყო.

სამხრეთ აფრიკაში საქართველოს „დ“ ქვეჯგუფში ითამაშებენ ახალი ზელანდია, შოტლანდია და ირლანდია. ჩვენი ბიჭები დედაქალაქ პრეტორიაში დაბანაკდებიან. თამაშები გაიმართება იოპანესბურგშიც. „ა“ ქვეჯგუფში ირიცხებიან საფრანგეთი, ინგლისი, იაპონია და უკრაინა, „ბ“-ში — არგენტინა, ირლანდია, უელსი და პოლონეთი, ხოლო „გ“-ში — იტალია, სამხრეთი აფრიკა, რუსეთი და პოლანდია. ჯგუფებიდან ორ-ორი მოწინავე საჩემპიონო მეოთხედფინალში გადის, ორ-ორი მაჩანჩალა კი — სანუგეშო მეოთხედფინალში. თამაშდება ყველა, 16-ვე ადგილი.

ᲚᲘᲒᲐᲛ ᲙᲐᲚᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ

ინგლისური რაგბისათვის სავალალოდ დასრულდა რაგბთაშორისი შოუ, რომელშიც ქვეყნის ჩემპიონი „ბასი“ 13-კაცა ბურთაობის ჩემპიონ „ვიგანს“ შეეჯიბრა.

შოუ რაგბის მოქიშპე ნაირსახეობათა შესადარებლადა და შესარიგებლად მოეწყო, თუმც კი 15 და 13-კაცა ბურთაობების წესთა შეჯვარება და ჰიბრიდული თამაშის გამოგონება ინგლისელებს ამჯერად არც უცდიათ.

„ვიგანმა“ „ბასზე“ მეტი ფხა გამოიჩინა. მან 8 მაისს მანჩესტერის „მეინ როუდზე“ 82:6 აჯობა „ბასს“ თავის, 13-კაცა თამაშში, 11 მაისს კი ინგლისის ბობოლა კლუბებს თვიქნმში რაგბის წესებით გამართული შვიდკაცა მოუგო.

ბოლოს დადგა 25 მაისიც და იმავე თვიქნმში რაგბში შეიბნენ „ბასი“ და „ვიგანი“. რაგბის თაყვანისმცემლები ფიქრობდნენ, „ვიგანი“ ვერ შეეწყობა რაგბისეულ შერკინებებს, მოლებს, რაქებს, დრეფენებს, რიტმსა და თამაშის გაგაზრებასო, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ — 101 წლის წინ პროფესიონალიზმის გამო რაგბის კავშირიდან განკვეთილი თუმის შთამომავლებმა თანდათან ყველაფერს აუღეს ალღო და თუმც პირველი ტაიმი 0:25 წააგეს, საბოლოოდ ერთობ საპატიო ანგარიშით — ოდენ 19:44 დამარცხდნენ, რაც ყველას თვალში ლიგელთა გამარჯვებისა და უპირატესობის დამტკიცების ტოლფასია.

ახლა საკითხავი ისღაა, თუ რაგბი როდის გამთლიანდება. XXI საუკუნის გარიჟრაჟზე ელიტარული დონის ალბათ ერთადერთი ბურთაობაღა იარსებებს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

კვირას, 26 მაისს, ვაკეშივე თბილისის თასის გათამაშება გაჩაღდა. სტუდენტური ნაკრები მასშიც ჩაება, მაგრამ მისი გუმარელი წევრები კლუბის სახელით თამაშობენ, ვინაიდან სხვაფრივ „გუმარს“ 15 კაცი აღარ უგროვდებოდა.

პირველსავე ტურში ისევ სტუდენტები და „გუმარი“ შეიბნენ. კლუბმა ისევ მოიგო 17:10 (10:0), თუმც კი ნაკრებს ქუთაისელებიც შემატებოდნენ. გამარჯვებულთა ლელოები გაიტანეს ხუციშვილმა (9) და ჯიმშელაძემ (12), ორი გარდასახვა შეაგდო მოდებაძემ (10), საჯარიმო კი — მაჩიტაძემ (15). ნაკრების ლელოები ე. ძაგნიძის (12, „აია“) და ი. ჭელიძის (ბურჯი, „ყორები“, ჯგუფური) ანგარიშზეა.

ზაზა ფხაკაძე



ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

თეთრი, გამჭვირვალე ორგანული მინა

125 სმ X 74 სმ

ტელ.: 95 22 56 (საღამოს)

ᲨᲣᲑᲘᲡ ᲛᲢᲧᲝᲠᲪᲜᲚᲔᲑᲘ ᲘᲐᲐᲤ-Წ ᲗᲐᲕᲬᲐᲢᲔᲑᲬ ᲒᲐᲣᲩᲔᲜᲔᲡ

შუბის მტყორცნელები ისევ უახლოვდებიან 100-მეტრიან ზღვარს, რის გამოც მათი სახეობა მაყურებელთათვის სახიფათო ხდება.

ამ შემთხვევისათვის მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) ერთადერთი გამოსავალი იცის — თავად შუბს სპეციფიკაციებს შეუცვლის ხოლმე და რეკორდების აღრიცხვასაც თავიდან დაიწყებს.

რამდენიმე წლის წინ ასე უკვე გაკეთდა, მაგრამ იააფ-ის ჯიბრზე გამოჩნდა ჩეხი იან ჟელეზნი და ახალი, უმართავი შუბითაც რეკორდს რეკორდზე ამყარებს.

ჟელეზნიმ წინა ჯერზე თავი ლონდონში, 1993 წელს ისახელა, შაბათს კი იენაში (გერმანია) ერთობაშად 2,82 მეტრი წაუმატა თავისსავე შედეგს და ახალი მსოფლიო რეკორდი — 98,48 მეტრი დაამყარა.

ივნისში ჟელეზნი 30 წლისა შესრულდება.

ᲓᲐᲗᲝ ᲙᲘᲠᲪᲮᲐᲚᲘᲐ

ᲗᲔᲗᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲓᲒᲝᲛᲘᲐᲜ

იტალიის ველოტურ „ჯიროს“ მონაწილეები. მრბოლებს უკვე რვა ეტაპი გაუვლიათ და კვირა საღამოს ნეაპოლში მიბრძანებულან.

V ეტაპი (23.V) ლიანგური ფინიშით მოიგო ესპანელმა ანხელ ედუმ, იტალიელმა სილვიო მარტინელომ კი შეინარჩუნა ლიდერის ვარდისფერი კვართი — მეორე ადგილზე მყოფ თანამემამულე სტეფანო ძანინის 16 წამს უგებდა.

VI ეტაპი (24.V) მოიგო ფრანგმა პასკალ ერვმა და ლიდერობაც ხელი იგდო.

VII ეტაპი (25.V) პირველი სამთო იყო. იტალიელმა დავიდე რებელინმა მდევრებს 24 წამი მოუგო და მორიგი ლიდერი გახდა.

VIII ეტაპი (26.V) იტალიელი მარიო ჩიპოლინის გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ვარდისფერი კვართი მაინც რებელინს დარჩა.

ᲡᲐᲠᲒᲘᲔᲚᲘ

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲔᲯᲘᲔᲚᲘᲐ

რედაქტორი
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲑᲠᲘᲐᲣᲚᲘ

სარედაქციო კოლეგია:
ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲖᲘᲯᲐᲯᲘ
ᲖᲐᲐᲚ ᲑᲘᲑᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ᲛᲐᲨᲣᲯᲐ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

კომერციული დირექტორი
ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲝᲛᲠᲝᲛᲭᲘᲔᲚᲘᲫᲔ

გამომცემელი
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29